უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი

24.06.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ჩინჩალაძე - ფონდ საქართველოს განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარე;
ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;
თინათინ ზურაბიშვილი - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველოს კვლევების დირექტორი;
ლილი ბიბილაშვილი - შპს - „HR პროფესიონალთა გილდიას'' პრეზიდენტი;
ლელა ქელბაქიანი - შპს - „ქუთაისის უნივერსიტეტის'' რექტორი;
კახაბერ ჯაყელი - შპს - „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის'' პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
სალომე წურწუმია - დავების სამმართველოს უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ლევან ტვილდიანი - შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი;
2. ნიკოლოზ გოგუაძე - შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი;
3. ლელა ქელბაქიანი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი;
4. ლილე ჩხეტიანი - შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას იურისტი;
5. მაიკო ხუციშვილი - შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
6. ზაზა გოგოლიძე - შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას წარმომადგენელი;
7. კახა შენგელია - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
8. ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნვერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი;
9. მაია გონაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ზურაბ ჩხიკვაძე;
თეა ნადირაძე;
ანა კლდიაშვილი;

ნ. ჩინჩალაძე

გიორგი რამიშვილი;
ნინო ჯოჯუა;
თამარ შუდრა.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:35 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა წარადგინა შუამდგომლობა - სხდომაზე ექსპერტის დაგვიანების გამო, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი საბჭოს განეხილა დღის წესრიგის ბოლოს საკითხად. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა განაცხადა, რომ სარგებლობდა მინიჭებული უფლებამოსილებით და აცხადებდა თვითაცილებას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ზურაბ ჩხიკვაძემ.

ზურაბ ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან მიმართებით დასკვნაში შენიშვნები არ იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა წარმოადგინე დასკვნაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები.

ზურაბ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტური გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულმა შენობის საერთო ფართმა შეადგინა 2842.2 კვ.მ. შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, სასწავლო–სამეცნიერო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი ფართი (აუდიტორიები, ლაბორატორიები, აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა) შეადგენს 1789,54 კვ.მ–ს.

ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ბალანსზე შესყიდვის დოკუმენტაციის მიხედვით ირიცხება სხვადასხვა სახეობის (ერთადგილიანი, ორადგილიანი, სამადგილიანი, ოთხადგილიანი, სკამი-მერხი და საკონფერენციო დანიშნულების) მაგიდა/მერხი, რომელთა ადგილების საერთო რაოდენობაა 1168. ვიზუალური დათვალიერებით კი უნივერსიტეტის სასწავლო ფართზე და საწყოში განთავსებული მაგიდა/მერხების ადგილების საერთო რაოდენობაა 1040. გარდა ამისა დოკუმენტაციის მიხედვით უნივერსიტეტის მფლობელობაშია 1555 ერთეული სკამი, თუმცა რეალურად უნივერსიტეტში აღმოჩნდა 1059 ერთეული სკამი. გარდა ამისა უნივერსიტეტის მფლობელობაშია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები: 90 ერთეული პერსონალური კომპიუტერი/ნოუთბუქი, 31 ერთეული სხვა კომპიუტრეული ტექნიკა (პროექტორები პრინტერები, სკანერები, ასლის გადამღები აპარატები და სხვა).

ბიბლიოთეკაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, როგორც მატერიალური სახით ასევე ელექტრონული ფორმით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები ბიბლიოთეკას აქვს აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი ორი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 8636 ერთეულს, პერიოდიკა - 2930 ერთეულს, ხოლო ელექტრონულ მატარებელზე არსებული ფონდი - 950 ერთეულს.

უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის ხორციელდება შემდეგი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები:

საბაკალავრო:

- ბიზნესის ადმინისტრირება;

ნ. ...

- ეკონომიკა;
- ტურიზმის მენეჯმენტი.

სამაგისტრო:

- ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი:
- ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე.

სადოქტორო

- ეკონომიკა;
- ფინანსები.

პროგრამების განხორციელებას უზრუნველყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი განათლება, სამუშაო და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება კანონმდებლობით დაწესებულ კრიტერიუმებს. ისინი შერჩეული არიან საჯაროობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით გამოცხადებული აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსების მეშვეობით

- პროფესორი - 3
- ასოცირებული პროფესორი - 23
- ასისტენტ-პროფესორი -8

კონკურსის პირობები შეესაბამება როგორც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ასევე უნივერსიტეტის დებულებით დადგენილ პირობებს. აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან, მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზურაბ ჩხიკვაძემ ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ხორციელდებოდა დამატებით საერთაშორისო პროგრამა, რომელსაც ტემპუსის პორტუგალიელი და ესპანელი ექსპერტები ესწრებოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის განთვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

უნივერსიტეტის რექტორმა, ლელა ქელბაქიანმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ამჟამად ჰყავდა 524 სტუდენტი. 2013 წლის 26 მარტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრა 750-ით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 1000 ადგილამდე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული სტუდენტთა ადგილების გაზრდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დროის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა სტუდენტთა მეტი რაოდენობის მიღება. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი, რათა გაეკეთებინა განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 1000-ით გაზრდაზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ექსპერტმა ზურაბ ჩხიკვაძემაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

ნ. ...

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ,,ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212677094) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა, თეა ნადირაძემ და სალომე წურწუმიამ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ორივე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოვლინდა შემდეგი შენიშვნები:

1.1 თითოეული პროგრამით სწავლა-სწავლების მეთოდებად განსაზღვრული ჩამონათვალი - (დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.) გახლავთ სწავლა/სწავლების მეთოდებისას გამოსაყენებელი ინსტრუმენტები. აღნიშნული ინფორმაცია ყველა სილაბუსში იდენტურად არის ჩასმული. ორივე წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსებში აბსოლუტურად ერთნაირია სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები.

1.2 პრაქტიკის დებულებით განსაზღვრულია სტუდენტის მიერ ობიექტზე გამოცხადების შეფასება - 10 ქულა. პროგრამების პრაქტიკის სილაბუსებში გაწერილია დასწრების შეფასება ("პრაქტიკის ობიექტზე გამოცხადების") რანჟირებულია დასწრების რაოდენობის მიხედვით და გამოსახულია პროცენტებში მაგალითად 80%-89% - 9 ქულა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად - "კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად." აღნიშნული წესი დაცული არ არის.

1.3 პროგრამაში გაწერილი შეფასების სისტემა რანჟირებული ქულების მიხედვით არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისი, რაც მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამაში გაწერილი შეფასების სისტემა გადადის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართში და ის უნდა იყოს კანონთან შესაბამისი, რომელიც გულისხმობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" მე-4 მუხლის მეშვიდე პუნქტთან შესაბამისობას.

1.4 პროგრამების შედეგების რუკაში წარმოდგენილია არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსების კომპეტენციებიც, რომელიც ყველა კურსადმთავრებულისათვის უპირობოდ მისაღწევი შედეგები არ გახლავთ. თეა ნადირაძემ განმარტა, რომ არჩევითი სტატუსის მქონე კურსების

ნ. ნ.ნ.

კომპეტენციები მოცემულია როგორც საერთო შედეგები ყველა კურსდამთავრებულისთვის. შესაბამისად, არჩევითი საგნის შედეგები, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ვერ იქნება ყველა სტუდენტისთვის მისაღწევი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ავტორიზაციის პროცესის მომზადებისას ხელმძღვანელობდა „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №188 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციებით და იმ სტანდარტებით, რომელიც დამტკიცებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტი არ ეთანხმებოდა ექსპერტთა დასკვნას და წერილობით წარმოადგენდა დაწესებულების მოსაზრებებს დანართებთან ერთად.

1.1 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტების შეფასებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელი იყო მხოლოდ ერთი მეთოდით. ამიტომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს შედეგების მისაღწევად გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდი: დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვა. ვინაიდან სწავლა-სწავლების მეთოდებად განსაზღვრული ჩამონათვალი, მაგალითად დემონსტრირების მეთოდი არ არის გამოსაყენებელი ინსტრუმენტი, არამედ, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ეს არის სწავლა- სწავლების მეთოდი, რომლის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ინსტრუმენტი (პრეზენტაცია პროექტორის საშუალებით, ჩონჩხი, მულიაჟი, რუკა და ა.შ) ყველა ჩამოთვლილი სწავლა-სწავლების მეთოდი გამოსაყენებელია ყველა სასწავლო კურსის სწავლებისას, შესაბამისად, იდენტურად არის ჩასმული სილაბუსებში.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები განმარტებული იყო სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის, თუნინგის პროექტის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტებშიც. ის ჩამონათვალი, რომელიც დაწესებულებას აქვს გაკეთებული, ეს გახლდათ მხოლოდ სწავლა/სწავლების მეთოდებისას გამოსაყენებელი ინსტრუმენტები. მაგალითად დემონსტრირების მეთოდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სამუშაო ჯგუფში, სემინარზე მუშაობის დროს. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ არსებითი იყო ის გარემოება, რომ მეთოდებისას გამოსაყენებელი ინსტრუმენტები ყველა სილაბუსში იყო იდენტური. ექსპერტის აზრით, არ შეიძლება, რომ ყველა ინსტურმენტი თუ მეთოდი, როგორც ამას დაწესებულება განმარტავს, ერთნაირად გამოიყენებოდეს ყველა საგნის სწავლების დროს. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს საგნის სპეციფიკა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იყო სახეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პროგრამებში მოცემული იყო სწავლა-სწავლების მეთოდებისას გამოსაყენებელი ინსტრუმენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მაგალითად სტომატოლოგიის პროგრამაში დემონსტრირების მეთოდი იყო არა გამოსაყენებელი ინსტრუმენტი, არამედ სწავლა-სწავლების მეთოდი, რომლის განსახორციელებლად გამოიყენებოდა სხვადასხვა ინსტრუმენტი, როგორიცაა: მულიაჟი, რომელიც გამოიყენებოდა ვიზუალური აღქმისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში გამოიყენებოდა სხვა ინსტრუმენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამაში ან სილაბუსში ყველა მეთოდის მითითება სტუდენტისთვის არ იქნებოდა ზიანის მომტანი. თეა ნადირძემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარი არ იყო იმაზე, მიადგებოდა თუ არა სტუდენტს რაიმე სახის ზიანი.

1.2 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაუგებარია თუ სად ხედავდა ექსპერტი სხვადასხვა კომპონენტს შორის კრედიტთა განაწილების წესის დარღვევას.

ნ. ჩანგელ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანება (2007 წლის 5 იანვარი) განსაზღვრავს: სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას. კრედიტების განაწილებას და სტუდენტის მიღწევების შეფასებას, ამავე აქტის მე–3 მუხლის, მე–3 პუნქტი რომელსაც მიუთითებენ ექსპერტები ეხება კრედიტთა განაწილებას სხვადასხვა კომპონენტთა (მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა დისერტაცია და სხვა) შორის. ბრძანებაში (სტუდენტთა მიღწევების შეფასების შესახებ) მითითებულია: დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად _ მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: შუალედურ შეფასებებს, დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია; დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით) მაშასადამე, სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტების მიღწევების (ცოდნის) შეფასების სისტემა არ დაურღვევია.

მინისტრის №3 ბრძანება (2007 წლის 5 იანვარი) მე-3 მუხლის 3 პუნქტში წერია: კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის (და არა ერთ კომპონენტში რასაც წერს ექსპერტი) უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას. პროგრამის პრაქტიკის სილაბუსებში გაწერილი შეფასების სისტემა არ ეწინააღმდეგება განათლების მინისტრის 2007 წლის 5იანვრის #3 ბრძანების მე-3 მუხლის მესამე პუნქტს, ვინაიდან პრაქტიკის სილაბუსში პრაქტიკის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, აქედან 60 ქულა არის პრაქტიკის ობიექტზე გაწეული საქმიანობა, რომელშიც ასახულია არა-მარტო ოთხი კომპონენტიდან ერთ-ერთი კომპონენტი _ დასწრების 10 ქულიანი რანჟირება (10 ქულიანი რანჟირება გათვალისწინებულია პედაგოგის მიერ სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე დასწრების უზრუნველსაყოფად სასწავლო უნივერსიტეტი „ვიტა ჯორჯიას" სტუდენტთა პრაქტიკის დებულების 2.2 პუნქტიდან გამომდინარე: პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს: პრაქტიკის კონტროლის სახეები; რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული კურსის გასავლელად), რაზეც აპელირებენ ექსპერტები, არამედ დანარჩენი კომპონენტებიც მეორე კომპონენტი - 40 ქულიანი ობიექტზე გაწეული საქმიანობა, მესამე კომპონენტი - 10 ქულიანი დღიურის წარმოება, მეოთხე კომპონენტი - 40 ქულა ამ 100 ქულიდან პრაქტიკის ანგარიშის წარდგენა დაცვა. ამრიგად, სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები არ არის ერთჯერადი და იგი მოიცავს შეფასების მრავალ კომპონენტს. რაც შეესაბამება მინისტრის №3 ბრძანებას (2007 წლის 5 იანვარი).

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ პროგრამების პრაქტიკის სილაბუსებში გაწერილი იყო დასწრების შეფასება, რომელიც არ ნიშნავდა მიღწევის შეფასებას, სტუდენტის მხრიდან ცოდნის დადასტურებას. ამასთან, თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში არსად არ იყო დათქმა იმის შესახებ, რომ თითოეული სტუდენტის დატვირთვა უნდა იყოს შეფასებული. თეა ნადირაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ ბრძანებაში არსებობდა ნორმა, რომლის მიხედვითაც კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ დასწრების შეფასება არ წარმოადგენდა რეალური ცოდნის დადასტურებას. ექსპერტმა საბჭოს წევრებს დაუზუსტა, რომ უნდა შეფასებულიყო სტუდენტის რეალური ცოდნა და კომპეტენცია, რაც დასწრების კომპონენტის შეფასებით ვერ იქნებოდა მიღწეული.

ნ. [illegible]

საბჭოს წევრის ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, პრაქტიკის სილაბუსი შესაძლოა ითვალისწინებდეს დასწრების შეფასებასაც, ვინაიდან პრაქტიკაზე სტუდენტის დასწრებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ისევე როგორც პრაქტიკაში, ასევე სხვა სასწავლო კურსებშიც, დასწრების კომპონენტის შეფასება არანაირ ვალდებულებას, მითუმეტეს წესს არ წარმოადგენდა, რადგან თუ დაწესებულებას სურდა, რომ სტუდენტები დასწრებოდნენ პრაქტიკას, მაშინ უნდა შეფასებულიყო სტუდენტების პრაქტიკაზე განხორციელებული სამუშაო და აქტიურობა, რაც თავისთავად მათი დასწრების გარეშე ვერ მოხდებოდა. ამიტომ, მისი აზრით დასწრების შეფასება არ იყო ლოგიკური.

1.3 და 1.4 პუნქტებზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას, ვინაიდან - ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში დაშვებული იყო მექანიკური შეცდომა რომელიც იყო გამოსწორებული (41% და ნაკლების ნაცვლად უნდა იყოს 40% და ნაკლები) თუმცა დაწესებულების დებულებაში, სასწავლო პროცესის მარეულირებელ წესში და ყველა სხვა დოკუმენტში და სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის პროგრამაშიც შეფასების სისტემა შესაბამისობაში იყო განათლების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტთან.

პროგრამის შედეგების რუკაში წარმოდგენილი არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსების კომპეტენციები აუცილებლად უნდა იყოს გაწერილი ისევე, როგორც ძირითადი კურსების კომპეტენციებიც, შესაბამისად, გაუგებარი იყო, თუ სად ხედავდა ექსპერტი დარღვევას.

1.4 პუნქტთან დაკავშირებით საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, იყო თუ არა სწავლის შედეგებში ცალ-ცალკე გაწერილი ყველა არჩევითი კურსის შედეგები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაწერილი იყო არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსების კომპეტენციები.

თეა ნადირაძემ განმარტა, რომ არჩევითი კურსის საგნებს ჰქონდათ თავიანთი სწავლის შედეგები, რომლებიც გაწერილი იყო კონკრეტული არჩევითი საგნის სილაბუსში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონკრეტული არჩევითის საგნის კომპეტენცია ვერ იქნებოდა პროგრამის საერთო შედეგი, რადგან არჩევითობა გულისხმობდა, იმას, რომ სტუდენტი, ან აირჩევდა კონკრეტულ საგანს, ან არა. შესაბამისად, თეა ნადირაძის მოსაზრებით, პროგრამის საერთო შედეგით ვერ მიიღწეოდა არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსების კომპეტენციები.

დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, აღნიშნული შედეგები გაწერილი უნდა ყოფილიყო, როგორს სილაბუსში, ასევე პროგრამაშიც.

1.5 პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება - 1. სასწავლო კურსის "ბიზნესის საფუძვლები" ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში განსაზღვრულია შემდეგი შედეგი: "შეუძლია ბიზნესის საფუძვლებში შესწავლილი თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში. კერძოდ, დაგეგმოს ბიზნესი, შეადგინოს ბიზნეს-გეგმა; დაიწყოს ბიზნესი; განახორციელოს ფირმის რეგისტრაცია". აღნიშნული შედეგების მიღწევის შეფასება არ არის შესაძლებელი სილაბუსით განსაზღვრული შეფასების სისტემით, კერძოდ, შუალედური და დასკვნითი შეფასებები მოიცავს წერილობით ფორმას დახურილი ტიპის ტესტები და საგამოცდო ბილეთები 4 თეორიული საკითხი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი ბრძანება N3 "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად - "კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით." სასწავლო კურსში გაწერილი შედეგები ქულების დაანგარიშებასა და კრედიტების მინიჭებისას უნდა ფასდებოდეს ადეკვატური შეფასების სისტემით, რათა მოხდეს ცოდნის რეალური შეფასება-დადასტურება.

ნ. ხინდოკა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას, ვინაიდან - სასწავლო კურსი ითვალისწინებდა, როგორც სალექციო, ისე ჯგუფურ მუშაობას. შესაბამისად, თითოეული მასალის გამყარება ხდებოდა სავარჯიშოებითა და შესაბამისი პრაქტიკული მაგალითებით ჯგუფური მუშაობის დროს. ამავდროულად, საგნის შეფასებაში წილობრივად გათვალისწინებული იყო ჯგუფური მუშაობა - 20 ქულა. შესაბამისად, დაწესებულებას მითითებული ჰქონდა, რომ სემესტრის განმავლობაში სტუდენტს ეძლეოდა 15 საშინაო დავალება. თითოეული მათგანი ფასდებოდა 2 ქულით და პროპორციულად შედიოდა ჯგუფური მუშაობის საერთო შეფასებაში. შესაბამისად, შესაძლებელი იყო გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება (რაც სრულიად საკმარისია მოიცავდეს ზემოთმოყვანილ თემატიკას, კერძოდ, დაგეგმოს ბიზნესი, შეადგინოს ბიზნეს გეგმა; დაიწყოს ბიზნესი; განახორციელოს ბიზნესის რეგისტრაცია"). ექსპერტს მითითებული ჰქონდა, რომ შუალედური და დასკვნითი შეფასებები მოიცავდა წერილობით ფორმას დახურული ტიპის ტესტებს და საგამოცდო ბილეთებს 4 თეორიული საკითხით. მაშინ, როდესაც მეორე შუალედური შეფასების ფორმად აგრეთვე 5 – 2 ქულიანი ღია ტიპის ტესტი იყო გათვალისწინებული, რომელიც ამავდროულად იყო პრაქტიკული კომპონენტის მატარებელი დავალების შეფასების შესაძლებლობა.

ვარდა ამისა, სტუდენტები სასწავლო კურსის თემატიკიდან გამომდინარე სწავლობდნენ ისეთ თეორიულ საკითხებს როგორიცაა: ბიზნესის დაგეგმვა (მე-11 კვირა) ბიზნესის დაწყება, ფირმის რეგისტრაცია (მე-15 კვირა), და ა.შ. შესაბამისად, აღნიშნული საკითხების ეტაპების ცოდნა შეიძლებოდა შემოწმებულიყო თეორიული საკითხის შეფასებითაც.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ შენიშვნა მდგომარეობდა არა იმაში, თემატიკა იყო თუ არა სწორად გაწერილი, არამედ იმაზე, რომ სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასება შეუძლებელი იყო განხორციელებულიყო ამავე სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

1.6 ,,მცირე მეწარმეობის" სილაბუსის "ცოდნა და გაცნობიერება" მოიცავს შემდეგ შედეგს - "ეცოდინება მეწარმეობის არსი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები..." . აღნიშნული სასწავლო კურსი ისწავლება მე-6 - მე-8 სემესტრებში, მაშინ როდესაც გაცილებით ადრე სტუდენტს მიღებული უნდა ჰქონდეს ცოდნა მეწარმეობის პრინციპებისა და ძირითადი ნიშნების შესახებ, რადგან ეს არის საბაზისო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირებაში. აღნიშნული საკითხი ადასტურებს პროგრამის არათანმიმდევრულ სტრუქტურას.

თეა ნადირაძემ დამატებით განმარტა, რომ საუბარი იყო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე, შესაბამისად მისი მოსაზრებით, მეწარმეობის არსი და მისთვის დამახასიათებელი ნიშნები უნდა ისწავლებოდეს არა მე-6-8 სემესტრებში, არამედ სწავლების დასაწყისშივე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული კურსი იყო არჩევითი საგანი. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საგნის სტატუსზე არ იყო საუბარი, შენიშვნა მდგომარეობდა იმაში, რომ ის თემები, რომლების სტუდენტს სწავლების დასაწყისში უნდა ჰქონდეს ნასწავლი, ისწავლებოდა მე-6-მე-8 სემესტრში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას, რადგანაც ექსპერტს მხოლოდ ნაწილი ჰქონდა გადმოწერილი კომპეტენციების, რის შემდეგაც მრავალწერტილი იყო, რის უკანაც იგულისხმებოდა საყურადღებო ჩამონათვალი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული დისციპლინა იყო არჩევითი კურსი, რომლის შესწავლაც შეეძლო მცირე მეწარმეობით დაინტერესებულ სტუდენტს მეექვსე-მერვე სემესტრებში, საკუთარი სურვილიდან გამომდინარე. ხოლო იმ ნაწილში, რომელშიც ექსპერტი ედავებოდათ - მეწარმეობის არსის შესახებ, ეთანხმებოდნენ, რომ სტუდენტს უკვე ჰქონდა გარკვეული ცოდნა ამ კუთხით, მაგრამ ეს არის ზოგადი ცოდნა, რომლის გაღრმავების შესაძლებლობას აძლევდა

ნ. [illegible]

უნივერსიტეტი სხვადასხვა მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ადასტურებდა პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრულობას.

1.7 ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში აღნიშნულია, რომ "სასწავლო პრაქტიკა" სავალდებულო კომპონენტია. პროგრამის სასწავლო გეგმასა და შედეგების რუკაში "სასწავლო პრაქტიკის" ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი "პროფესიული პრაქტიკა", ხოლო სილაბუსებს შორის წარმოდგენილია "საწარმოო პრაქტიკა". სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, შესაბამისად პროგრამაში ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი, თუ რა სახის პრაქტიკას მოიცავს იგი. აღნიშნულით დასტურდება პროგრამის არათანმიმდევრული სტრუქტურა. აქვე, აღსანიშნავია, რომ "საწარმოო პრაქტიკის" მიზანში აღნიშნულია შემდეგი: "პრაქტიკა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება, სრულად გააცნობიეროს დარგის სპეციფიკა და მნიშვნელობა, ბოლომდე გაითავისოს არჩეული პროფესიის არსი და დანიშნულება ..." პრაქტიკა ეთმობა მხოლოდ საბანკო საქმეს, მაშინ როდესაც მისანიჭებელი კვალიფიკაცია "ბიზნესის ადმინისტრირება" და წარმოდგენილი მიზანი არ ეხება მხოლოდ საბანკო სფეროს. პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ რით დასტურდებოდა, რომ პროგრამას ჰქონდა არათანმიმდევრული სტრუქტურა. თეა ნადირაძემ აღნიშნა, ზოგადად რომ პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა სახეზეა მაშინ, როდესაც პროგრამით განსაზღვრული მიზნები, შედეგები და სასწავლო კურსების თემატიკა არის ერთმანეთთან თანხვედრაში. იმ შემთხვევაში, როდესაც კურსის მიზანი, შედეგი და თემატიკა ერთმანეთთან არის ლოგიკურ ბმაში. ამ შემთხვევაში კი პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა არ იყო სახეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას ვინაიდან - ეს იყო მექანიკური შეცდომა და უნდა ყოფილიყო საწარმოო პრაქტიკა. რაც შეეხება ბოლო შენიშვნას - ბანკი, გარდა იმისა რომ არის საბანკო საკრედიტო დაწესებულება, არის აგრეთვე ბიზნესსტრუქტურა. შესაბამისად, მასშიც ისევე ხდება ბიზნესპროცესების მართვა, როგორც სხვა ბიზნესორგანიზაციაში. პრაქტიკის თემატიკაშიც გაწერილია ისეთი საკითხები, როგორიც არის მაგალითად საბანკო მენეჯმენტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტს პრაქტიკის დებულებაში გათვალისწინებული აქვს შემდეგი მუხლი: თუკი სტუდენტს უკვე არჩეული აქვს პრაქტიკის ობიექტი და ობიექტის ხელმძღვანელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისადმი წერილობით მიმართვაში ადასტურებს ამ კონკრეტული სტუდენტისთვის პრაქტიკის მაღალ დონეზე უზრუნველყოფის მზაობას, თავის მხრივ, სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს, გამოყოს ამ სტუდენტისათვის პრაქტიკის ხელმძღვანელი და შეიმუშაოს შესაბამისი სილაბუსი. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სისტემატურად მუშაობს ახალი პრაქტიკის ობიექტების მოძიებაზე. მაგალითად, მემორანდუმებია გაფორმებული: სს ჯეოკაპიტალმენეჯმენტთან (2014 წლის 8 მაისი), ჩვენი ფერმერი (2014 წლის 20 იანვარი), ოკეანე (2014 წლის 20 იანვარი), მითანა (2014 წლის 18 იანვარი), რომელთა წარმოდგენაც სირთულეს არ წარმოადგენს.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ანიჭებდა შემდეგ კვალიფიკაციას - ბიზნესის ადმინისტრირება, მაშინ როდესაც იგივე პროგრამის პრაქტიკა ეთმობოდა მხოლოდ საბანკო საქმის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ამ შემთხვევაში, თეა ნადირაძის მოსაზრებით, დაწესებულებას უნდა მიენიჭებინა საბანკო საქმის ბაკალავრის კვალიფიკაცია. შესაბამისად, თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ პროგრამას არ ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა.

1.8 სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსის "ორთოპედიული სტომატოლოგია 7 - პრაქტიკული კურსი (კლინიკური უნარ-ჩვევები) (კურაცია) მე-10 სემესტრი" საკონტაქტო დრო მითითებულია 91 საათი, ხოლო ამავე სილაბუსის სასწავლო გეგმაში განაწილებული საათების რაოდენობა 92 საათია; სასწავლო კურსში "თერაპიული სტომატოლოგია 8 - პრაქტიკული კურსი

ნ. ჩინჩარაძე

(კლინიკური უნარ-ჩვევები) მე-10 სემესტრი" საკონტაქტო დრო მითითებულია 91 საათი, ხოლო სასწავლო გეგმაში თემატიკა განაწილებულია 81 საათზე. აღნიშნული სილაბუსების სასწავლო გეგმაში არ არის განსაზღვრული თუ რომელ სასწავლო კვირას ან/და რომელი თემატიკის შემდეგ ჩატარდება შუალედური გამოცდა, აღნიშნულია მხოლოდ შუალედური შეფასების გამოცდების შედეგების განხილვის დრო - სასწავლო კვირა მაგ. მე-6 კვირა, მე-11 კვირა. "ორთოპედიული სტომატოლოგიის 7" სილაბუსის შეფასების სისტემის გრაფაში არის შემდეგი ჩანაწერი - 100 ქულიანი სისტემიდან, "60 ქულა არის პრაქტიკის ობიექტზე გაწეული საქმიანობის შეფასება, ანგარიშის წარდგენა, ხოლო 40 ქულა პრაქტიკის დაცვა." აღნიშნული ჩანაწერი ნიშნავს, რომ მიმდინარე შუალედური შეფასებებისას (60 ქულის ფარგლებში) უნდა შეფასდეს გაწეული საქმიანობის ანგარიში ორ ეტაპად, ორ შუალედურზე, ხოლო სილაბუსის გრაფაში "პრაქტიკის ანგარიში" აღნიშნულია, რომ სტუდენტები პრაქტიკის დასრულების შემდეგ ადგენენ პრაქტიკის ანგარიშს, რაც მოწმობს რომ დასკვნით გამოცდამდე პრაქტიკის ანგარიში არ არსებობს და შესაბამისად ის ვერც შეფასდება. ასევე, სილაბუსის სხვადასხვა გრაფაში არსებული ჩანაწერები არ არის თანხვედრაში. აღნიშნული საკითხები ამავე პროგრამის სხვა სილაბუსებშიც გხვდება, შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა არათანმიმდევრულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტების შეფასებას ვინაიდან - სილაბუსში ბეჭდვისას გაპარული იყო მექანიკური შეცდომა - ჩანაწერი, აღნიშნული სილაბუსი არ ითვალისწინებდა შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას (ნაცვლად ჩანაწერისა: „ანგარიშის წარდგენა, ხოლო 40 ქულა პრაქტიკის დაცვა". უნდა ეწეროს „ხოლო 40 ქულა პრაქტიკის ანგარიშის წარდგენა დაცვა"). მექნიკური შეცდომა დასტურდება იმითაც, რომ პრაქტიკის თემატიკა გაწერილი იყო 20 დღიან პერიოდზე და ამ პერიოდში ბუნებრივია, შუალედური და ფინალური გამოცდები ერთდროულად ვერ განხორციელდებოდა. სილაბუსებში მექანიკური შეცდომა გასწორებულია. პროგრამა და სილაბუსი შესაბამისობაშია ერთმანეთთან, რითაც დასტურდება, პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა.

1.9 სასწავლო კურსი „ქირურგიული სტომატოლოგია 4. მე-7 სემესტრი". საკონტაქტო დრო მითითებულია 52 საათი, რომელიც არ ემთხვევა სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ თემატიკაზე განაწილებული საათების ჯამს. იგივე სახის პრობლემაა სასწავლო კურსის "პრევენციული მედიცინა - ჰიგიენა" სილაბუსში. საათების განაწილების გრაფაში მითითებულია, რომ ჯგუფში მუშაობასა და ლაბორატორიულ სამუშაოზე გამოყოფილია 32 საათი, რომელიც არ ემთხვევა ამავე სილაბუსის სასწავლო გეგმაში საათების განაწილებას. სასწავლო კურსის "ქირურგიული სტომატოლოგია 5. მე-8 სემესტრი" ჯგუფურ მუშობასა და ლაბორატორიულ სამუშაოზე გამოყოფილია 45 საათი, მაგრამ კურსის შინაარსში კვირების მიხედვით მხოლოდ 42 საათი გამოდის. სასწავლო კურსის "კერძო პათფიზიოლოგია. მე-6 სემესტრი" განსაზღვრულია 32 სალექციო და 32 სასემინარო/ჯგუფური მუშაობა, კურსის შინაარსის მიხედვით კი გამოდის 30-30 საათი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეთანხმებოდა აღნიშულ შენიშვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ყველა აღნიშნულ სილაბუსში დაშვებული იყო ელემენტარული მექანიკური შეცდომა, რომელიც უკვე იყო გასწორებული. პროგრამა და ყველა სილაბუსი შესაბამისობაში იყო მოყვანილი ერთმანეთთან.

1.10 სტომატოლოგიის პროგრამაში აღნიშნულია, რომ სასწავლო კურსები ისწავლება ქრონოლოგიურად და თანმიმდევრული სტრუქტურით, პროგრამის თანდართულ ზოგიერთ სილაბუსზე აღნიშნულია - "კურაციული", რაც ნიშნავს კურაციული სისტემით სწავლებას, თუმცა პროგრამის სასწავლო გეგმითა და ამ სილაბუსის სასწავლო კვირეებზე თემატიკის გადანაწილებით არ დასტურდება კურაციული სისტემით სწავლება, შესაბამისად, ვერ დგინდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების სტრუქტურა, რაც ნიშნავს, რომ პროგრამას არათანმიმდევრული სტრუქტურა აქვს.

ნ. ...

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდება დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან, თანმიმდევრულ სტრუქტურასთან და სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისტემასთან შესაბამისობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა 1.10 პუნქტზე აღნიშნა, რომ შენიშვნა არ მიაჩნდა მართებულად, ვინაიდან თემატიკა გაწერილი იყო არა კვირების მიხედვით, არამედ დღეების მიხედვით. ყველა კურაციული სილაბუსის, მაგალითად, ორთოპედიული სტომატოლოგია 7 ის სასწავლო კურსის მიზანი იყო - პრაქტიკულად ასწავლოს სტუდენტს კბილების მაგარი ქსოვილების სხვადასხვა ეტიოლოგიის დაზიანებისას ხელოვნური გვირგვინები მათი იდენტიფიცირება, კბილების პრეპარირება სხვადასხვა სახის გვირგვინებისათვის და გამოუმუშაოს ავადმყოფის გამოკვლევისა და პროთეზირებისათვის მომზადების უნარი. რაც სილაბუსის სასწავლო გეგმაში თემატურად იყო ჩაშლილი. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამებოდა სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილი სილაბუსი იყო სასწავლო პროგრამაში თანმიმდევრული სტრუქტურის შესაბამისი რომელსაც ჰქონდა წინა პრერეკვიზიტები (ორთოპედიული სტომატოლოგია 1—6) და წარმოადგენდა კურაციული სისტემის შესაბამის პრაქტიკული კურსს.

პროგრამები რომ თანმიმდევრული სტრუქტურისაა დასტურდება იმითაც, რომ აღნიშნული პროგრამები მოიცავს: პროგრამის სახელწოდებას, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, დასაქმების სფეროს, პროგრამის მიზანს, პროგრამის ამოცანებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებს, სწავლების მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას ასევე შეეძლო საბჭოს წევრებისთვის დეტალურად გაეცნო ის პუნქტები, თუ რას მოიცავდა პროგრამის საგანმანათლებლო კურსები.

დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, მეთოდოლოგიასთან და შესაბამის კვალიფიკაციასთან, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან, თანმიმდევრულ სტრუქტურასთან და სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისტემასთან.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, დაწესებულებამ ვერ გაიგო თუ რაში მდგომარეობდა 1.10 ხარვეზის არსი.

1.11 "ბიზნესი საფუძვლების" სილაბუსის შედეგში "კომუნიკაციის უნარი" მითითებულია შემდეგი ინფორმაცია - "კურსის შესწავლის მეთოდია ჯგუფური მუშაობა, დისკუსია (დებატები), გონებრივი იერიში, რომლის მეშვეობითაც სტუდენტს გამომუშავებული აქვს კომუნიკაციის უნარ-ჩვევები". ეს განმარტება არ წარმოადგენს კომუნიკაციის უნარის განმარტებას.

1.12 ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ მოდულებს: "საუნივერსიტეტო კურსების მოდული"; "ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსების მოდული"; "ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსების მოდული"; "თავისუფალი

კომპონენტები". "უმაღლესი განათლების შესახებ კანონში" და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად მოდულს გააჩნია მიზნები და შედეგები. წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია საერთო შედეგები, ხოლო თითოეული მოდულის მიზნები და შედეგები არ არის წარმოდგენილი. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერში (მე-3 მუხლი) აღნიშნულია შემდეგი: "საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე სასწავლო კურსისა თუ მოდულის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით".

1.11 და 1.12 შენიშვნებზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას, ვინაიდან - ბიზნესის საფუძვლების სილაბუსში შედეგში კომუნიკაციის უნარი მითითებული ინფორმაცია ჯგუფური მუშაობა დისკუსია (დებატები) გონებრივი იერიში, ნამდვილად ემსახურება სტუდენტის კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას. (სტუდენტს აქვს გამომუშავებული ვერბალური კომუნიკაციის უნარი ჩოაყალიბოს საკუთარი აზრი შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით).

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი საუნივერსიტეტო კურსები, ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები და თავისუფალი კრედიტები არ წარმოადგენენ შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საგნების მოდულებს. გაპარულია მექანიკური შეცდომა და ალბათ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მიგვეთითებინა: საუნივერსიტეტო კურსები - 23 კრედიტი; ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები: 172 კრედიტი, ძირითადი სპეცილობის არჩევითი კურსები - 25 კრედიტი, თავისუფალი კრედიტები - 20 კრედიტი. ასევე ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შინაარსიდან გამომდინარე დასტურდება სასწავლო კურსების საგნობრივი განაწილება. რაც ასევე მიუთითებს მექანიკური შეცდომის არსებობაზე.

საბჭოს წევრმა კახაბერ ჯაყელმა აღნიშნა, რომ "ბიზნესი საფუძვლების" სილაბუსის კომუნიკაციის უნარში მითითებული ინფორმაცია არ წარმოადგენდა კომუნიკაციის უნარს. შესაბამისად, იგი იზიარებდა ექსპერტის შეფასებას. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს ზუსტად ჰქონდათ სილაბუსიდან ციტირებული კომუნიკაციის უნარში ასახული ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დისკუსია და დებატები ემსახურებოდა სტუდენტის კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას. 1.12 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ეს იყო მექნიკური შეცდომა და უნდა წერებოდა საგანმანათლებლო კურსი და არა მოდული.

1.13 სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და განათლების აღიარების წესი განსაზღვრულია შპს - "სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას" დებულებით. აღნიშნული დებულება დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს ოქმი №5-ით. თუმცა დაწესებულების წესდებაში აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებად არ არის განსაზღვრული ,,დებულების'' დამტკიცება. ამასთან, წესდების პირველი მუხლის 1.7 პუნქტის თანახმად, დაწესებულება შეიმუშავებს დებულებას. ამ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული, თუ რომელი სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილებას მიეკუთვნება ,,დებულების'' დამტკიცება. შესაბამისად, დებულება დამტკიცებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას ვინაიდან - შპს სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯიას წესდების 3.2.11 პუნქტის შესაბამისად, პარტნიორთა კრება ან დირექტორი (რექტორი) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებას, სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, შინაგანაწესსა და სხვა ნორმატიულ აქტებს. ამავდროულად 3.3.1 პუნქტის მიხედვით დირექტორი (რექტორი): მართავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაწესებულებას და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში; რექტორი (ამავდროულად შპს-ს დირექტორი) არის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი,

ნ. ჩანგელია

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში. შესაბამისად: შპს სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯიას დებულება დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, ამ შემთხვევაში რექტორის მიერ, თუმცა მეტი გამჭვირვალობის მიზნით შეთანხმებულია აკადემიურ საბჭოსთან და ასახულია აკადემიური საბჭოს ოქმი №5-ში.

სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ წესდების 3.2.11 პუნქტში მოცემული იყო, რომ პარტნიორთა კრება ან დირექტორი ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებას, სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, შინაგანაწესსა და სხვა ნორმატიულ აქტებს. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების დირექტორი ვერ დაამტკიცებს ნორმატიულ აქტს, რადგან მისი დამტკიცების პრეროგატივა, უფლებამოსილება გააჩნია შესაბამის სამინისტროს. რაც შეეხება სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და განათლების აღიარების წესს, იგი განსაზღვრულია შპს "სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას" დებულებით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს ოქმით. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დირექტორი (რექტორი) არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, შეუძლებელია, რომ აკადემიური საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს დამტკიცება, მიჩნეულ იქნეს რექტორის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებად, დამტკიცებად. მითუმეტეს, თუ გავითვალიწინებთ იმასაც, რომ აკადემიური საბჭო და რექტორი დაწესებულების სტრუქტურაში წარმოადგენენ ცალ-ცალკე რგოლებს, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებელი უფლებამოსილებები. შესაბამისად, სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დებულება დამტკიცებული იყო აკადემიური საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს და არა რექტორის მიერ. აქედან გამომდინარე, სალომე წურწუმიამ განმარტა, რომ დაწესებულება ეწინააღმდეგებოდა თავისივე წესდებით დადგენილ რეგულაციას. შესაბამისად, სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დებულება დამტკიცებული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ ვინ იყო მოცემულ დაწესებულებაში აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე იყო რექტორი, თუმცა როგორც აღინიშნა აკადემიური საბჭო წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს და ამ შემთხვევაში დებულება დამტკიცებულია არა ერთპიროვნულად რექტორის, არამედ კოლეგიური ორგანოს მიერ. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, რექტორი, როგორც აკადემიური საბჭოს ერთ-ერთი რიგითი წევრი ისე მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ვინაიდან აკადემიური საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

1.14 სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი განსაზღვრულია აღნიშნული დებულების 7.3 თავში ,,სტუდენტის მიღება, რეგისტრაცია, სტატუსის მოპოვება'' ხოლო დაწესებულებას 7.4 თავში განსაზღვრულია ,,უცხოელი სტუდენტთა მიღება - სტუდენტის სტატუსის მოპოვება''. დებულების 7.4 თავში აღნიშნულია, რომ ,,აბიტურიენტთა ხელშეწყობისა და სტუდენტთა მობილობის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყნაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; ბ) სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.'' აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, რომელიც გამიჯნავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისა და

ნ. ...

საქართველოს მოქალაქეების, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის საკითხს.

დაწესებულების დებულების 7.4 თავის ,,ა'' ქვეპუნქტით დაწესებულებას არ აქვს გამიჯნული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების და საქართველოს მოქალაქეების, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, დაწესებულებაში ჩარიცხვის დაშვების საკითხი. ამასთან 7.4 თავის ,,ბ'' ქვეპუნქტში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხვის დაშვება პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული პირებისათვის დაშვების წინაპირობად უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გარდა დაწესებულებას დაწესებული აქვს ცხოვრების ცენზი ორი ან მეტი წლის განმავლობაში - ,,სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში'' - რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

დაწესებულებას 7.4 თავში უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისათვის, განსაზღვრული აქვს სტუდენტების მიერ - ,,უცხო ქვეყანაში ბოლო 2 წლის ან მეტი წლის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტის: უცხო ქვეყანაში რეგისტრაციის დოკუმენტი; საკონსულო აღრიცხვის დოკუმენტი; ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ადასტურებს პირის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტს'' - წარდგენის ვალდებულება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის'' მე-2 მუხლის მე-8 პუნქტს, რომელიც მსგავს მოთხოვნას არ აწესებს იმ პირებისათვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა შეფასებას ვინაიდან - აღნიშნული ჩანაწერი ვერ დაარღვევდა „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, აბიტურიენტთა და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრედიტებული პროგრამით სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის იმ მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, მაგრამ არანაკლებ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სწავლების წლების ხანგრძლივობის პროგრამის ათვისების შედეგად; ბ) უცხო ქვეყნის იმ მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ვინაიდან მოცემული საკითხის რეგულირების უფლებამოსილება გააჩნია განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრს. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირი განცხადებით მიმართავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. აღნიშნული მოწმობს, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი და მინისტრის ბრძანება №224/ნ ვერ იქნება დარღვეული.

დაწესებულებაში ექსპერტად მყოფმა სალომე წურწუმიამ დამატებით განმარტა, რომ ცენტრი ახდენს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას, რაც შეეხება, დაწესებულებაში ჩარიცხვის მსურველთათვის დადგენილ მოთხოვნებს, ამას განსაზღვრავდა თავად დაწესებულება. სალომე

ნ. ...

წურწუმიამ განმარტა, რომ ეს მოთხოვნები ეწინააღმდეგებოდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან დაწესებულება პირს უდგენს უცხო ქვეყანაში ცხოვრების 2 წლიან ცენზს. აღნიშნული რეგულაციას უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი 2012 წლიდან აღარ ითვალისწინებდა. შესაბამისად, სალომე წურწუმიას განმარტებით, სახეზე გვქონდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევა.

სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ამასთან დაწესებულებას თავის დებულებაში გადმოწერილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მთელი რიგი ბრძანებები, თუმცა აღნიშნული აქტები გადმოწერილი ძველი რედაქციით. ამაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ დაწესებულება სტუდენტებს ჩარიცხვისთვის უწესებს იმ დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებას, რომელთა მოთხოვნის უფლებაც აქვს მხოლოდ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე დაწესებულება სტუდენტებს უწესებს ისეთი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებასაც, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით კარგა ხანია უკვე აღარ მოითხოვება.

საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ მოცემულ შენიშვნაზე დაწესებულების პასუხი იყო ის, რომ რაც არ უნდა მოითხოვოს დაწესებულებამ, პროცესს არეგულირებდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ სტუდენტების ჩარიცხვას არეგულირებდა თავად დაწესებულება და არა ცენტრი. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება თავისი შიდა აქტებით არეგულირებდა ისეთ საკითხებს, რომელიც არ იყო მისი კომპეტენცია. ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, დაწესებულება ვერ დაარეგულირებდა იმ საკითხებს, რომელთა რეგულირებაც შედიოდა ცენტრის კომპეტენციაში. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ შენიშვნაც სწორედ ამაში მდგომარეობდა, რომ დაწესებულებას, თავის დებულებაში, მინისტრის სხვადასხვა აქტიდან საკანონმდებლო ნორმები ჰქონდა მექანიკურად გადაწერილი. სალომე წურწუმიამ განმარტა, რომ დაწესებულების დებულებით უნდა დარეგულირებულიყო ამავე დაწესებულების და არა სხვა რომელიმე ორგანოს საქმიანობა. შესაბამისად, სალომე წურწუმიას მოსაზრებით, დაწესებულებას არ ჰქონდა გაცნობიერებული თუ რა მიზნით წერდა ნორმებს თავის დებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაცნობიერებული ჰქონდა იმ ნორმების შინაარსი, რომელიც მოცემული იყო მათივე დებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი ჩანაწერი გადმოწერილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტებიდან და ეს ატარებდა საინფორმაციო ხასიათს და მიზნად ისახავდა იმას, რომ სტუდენტებს შეძლებოდათ მისვლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და ასევე გარკვეულიყვნენ პროცედურებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დებულების ჩანაწერები არ მოდიოდა წინააღმდეგობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

1.15 სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ,,დებულების" 7.8 თავში, რომლის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად ,,სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია". ,,დებულების" 7.7 თავში საუბარია სტუდენტთა მიერ დაწესებულებასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე რომლის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად ,,სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ფორმდება ახალი ხელშეკრულება, თუ სემესტრი, რომელშიც გამოიცა სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება, უკვე დასრულებულია". ახალი ხელშეკრულების გაფორმება წყვეტს წინა ხელშეკრულებას, შესაბამისად, ახალი ხელშეკრულება არის ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში ,,დებულების" აღნიშნული ჩანაწერი ერთმანეთთან წინააღმდეგობრივია. ამასთან 7.8 თავში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, რომ ,,ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება აღდგენის

ნ. ჩანტლაძე

მომენტისათვის არსებული ტარიფით", თუ დაწესებულება პირისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროს საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას მიიჩნევს შეჩერებულად, შეუძლებელია სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ახალი ხელშეკრულების გაფორმება, ვინაიდან სტატუსის აღდგენით სტუდენტი აგრძელებს იმავე სამართალურთიერთობას, რაც იყო წარმოშობილი დაწესებულებასთან, ხოლო ახალი ხელშეკრულებით იწყებს ახალ სამართალურთიერთობას ახალი პირობებით, რასაც დაწესებულება თავად აღნიშნავს დებულებაში „აღდგენის მომენტისათვის არსებული ტარიფი".

ამასთან, სტუდენტის სტატუსის შეჩერება არ არის ახალი სამართალურთიერთობის წარმოშობის საფუძველი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. შესაბამისად, სტუდენტის სტატუსის შეჩერება არის შესასრულებელი უფლება-მოვალეობებისაგან დროებით გათავისუფლება და მისი აღდგენის შემთხვევაში ეს უფლება-მოვალეობები გრძელდება, რაც არ არის ახალი ხელშეკრულებისა და ახალი სამართალურთიერთობის დაწყების საფუძველი. მითუმეტეს, შესაძლებელია, რომ ახალმა ხელშეკრულებამ გააუარესოს სტუდენტის მდგომარეობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას ვინაიდან - სტუდენტთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მოქმედების ვადა თავიდანვე განსაზღვრულია სასწავლო პროგრამის შესაბამისად და აქედან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებას პასუხობს დებულების შესაბამისი ჩანაწერი, რომლის 7.7 პუნქტი ადგენს, რომ ხელშეკრულება სტუდენტსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის იდება ერთხელ და მოქმედებს სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის კონკრეტულ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლების მთელ ვადაზე. ამავე დებულების 7.8 პუნქტი განსაზღვრავს, რომ სტუდენტის სურვილით შესაძლებელია სტატუსის შეჩერების გარეშე მოხდეს დამატებით სემესტრზე დარეგისტრირება სასწავლო უნივერსიტეტთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, თუკი პროგრამის ათვისებისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური დრო არ არის ამოწურული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნორმას ახლდა შემდეგი შენიშვნა: სტატუს-შეჩერებულმა სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტისათვის სწავლის საფასურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს მხოლოდ სასწავლო პროგრამით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება აღდგენის მომენტისათვის არსებული ტარიფის მიხედვით. რაც არ გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტას.

საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ თუ სტატუსის შეჩერებიდან გარკვეული დრო იყო გასული და შეიცვალა პროგრამის თვითღირებულება, ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა დებულების ის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება სტატუს შეჩერებული სტუდენტისთვის სწავლის საფასურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს მხოლოდ სასწავლო პროგრამით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას.

სალომე წურწუმიამ განმარტა, რომ სტუდენტს სტატუსის შეჩერება შეეძლო მოეთხოვა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ვადით, მაგალითად ერთი სემესტრით და სტატუსის აღდგენის დროს დაწესებულება სტუდენტს გაუფორმებდა ახალ ხელშეკრულებას, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ მოცემულ რეგულაციას შესაძლოა გამოეწვია სტუდენტის მდგომარეობის გაუარესება. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ბაკალავრიატის სტუდენტს ხელშეკრულებას უფორმებს 4 წლის ვადით და ამ ვადით უზრუნველყოფს

ნ. [illegible]

დაწესებულება სწავლის საფასურის შენარჩუნებას და ასევე, თუკი სტუდენტმა შეიჩერა სტატუსი და 5 წლის განმავლობაში არ დაბრუნდა დაწესებულებაში, მაშინ რატომ არ უნდა ჰქონოდა დაწესებულებას იმის უფლება რომ შეეცვალა სწავლის საფასური. სალომე წურწუმიამ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ დადგენილ რეგულაციებში, აღნიშნული საკითხი არ იყო დაკონკრეტებული და მოცემული წესი ეხებოდა ყველა სტატუსს შეჩერებულ სტუდენტს. სალომე წურწუმიამ განმარტა, რომ სახეზე იყო ორმაგი რეგულაცია, რასაც შეეძლო დაებნია სტუდენტები, გამოეწვია გაურკვევლობა, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების შელახვა.

1.16 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ,,დებულების" 7.9 თავში, რომლის ,,ბ" პუნქტის თანახმად ,,სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი დგება რექტორის ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებასთან" - ჩანაწერით ,,გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებასთან" - დაწესებულება იჭრება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დისკრეციაში, ვინაიდან სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის შეუთავსებობლის საკითხის დადგენა მიეკუთვნება მიმღები დაწესებულების პრეროგატივას. ხოლო სტუდენტი თავად განსაზღვრავს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც სურს გადასვლა. ამასთან მობილობის უფლება სტუდენტის კანონისმიერი უფლებაა, რომლის გამოყენებაც მას შეუძლია მისი სურვილისამებრ.

თეა ნადირაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მთელი რიგი საკითხები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო აღწერილი, ადასტურებდა იმას, რომ დაწესებულებაში პროცესები მიმდინარეობდა სრულიად გაუცნობიერებლად. აღნიშნულის დასადასტურებლად, თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მაგალითად, დებულების ნორმები, რომლებიც აწესრიგებდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას, ერთმანეთთან იყვნენ წინააღმდეგობაში. დაწესებულების წარმომდგენელმა აღნიშნა, რომ ყველა საკითხი, რომელიც დაფიქსირებული იყო ექსპერტთა დასკვნაში, დაწესებულების მხრიდან იქნებოდა განმარტებული და ახსნილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, როგორც ექსპერტმა გააკეთა დაწესებულების შეფასება, ასევე შეეძლო დაწესებულებას გაეკეთებინა ექსპერტთა დასკვნის შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები იყო არაობიექტური.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მისთვის, დაწესებულების მხრიდან, მიუღებელი იყო არაობიექტურობაზე საუბარი. თეა ნადირაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ იგი აპირებდა განცხადების გაკეთებას და მოითხოვა აღნიშნული განცხადების დაფიქსირება საბჭოს სხდომის ოქმში. თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მხრიდან მისთვის მიუღებელი იყო ობიექტურობაზე საუბარი, როდესაც მას მთელი დღის განმავლობაში ურეკავდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები და პირდაპირ უთითებდნენ ავტორიზაციის ექსპერტს, რომ შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას მოქცეოდა კარგად. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ იგი მიმართავდა ცენტრს, საბჭოს წევრებს, რომ მოქმედი ხელისუფლების პირობებში უკვე მესამედ მოხდა მსგავსი შემთხვევა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მხრიდან ეს იყო პროვოკაცია. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ მისი მხრიდან არანაირ პროვოკაციას არ ჰქონდა ადგილი. თეა ნადირაძემ მაგალითისთვის დაასახელა საქართველოს პარლამენტის წევრი ელისო ჩაფიძე, რომელმაც ექსპერტთან განახორციელა სატელეფონო საუბარი, ასევე იყო სხვა შემთხვევაც, როდესაც საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი წევრი ცენტრში ექსპერტთან შესახვედრად იყო მოსული. თეა ნადირაძემ გამარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა არსებულიყო შესაბამისი ვიდეოჩანაწერი. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრობის მანდატი არავის არ აძლევს იმის უფლებას, რომ ისარგებლოს

ნ. ჩანტლაძე

განუსაზღვრებული უფლებამოსილებით, კერძოდ, დასკვნის ცენტრში ჩაბარებამდე ავტორიზაციის ექსპერტზე განახორციელოს ზეწოლა. თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების დროს, მსგავს ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მაშინ როდესაც, მოქმედი ხელისუფლების დროს სახეზე იყო უკვე მესამე შემთხვევა. თეა ნადირაძემ პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომის დარბაზი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხდა საკითხის პოლიტიზირება და ექსპერტის აღნიშნული განცხადება არანაირ კავშირში არ იყო შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელი იყო საკითხის პოლიტიზირება.

საბჭოს სხდომაზე 18:50 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჩინჩალაძემ აღნიშნა, რომ საბჭოსთვის მიუღებელი იყო პოლიტიკური ხასიათის განცხადებების გაკეთება. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვერცერთი პოლიტიკური განცხადება, საბჭოს მიერ, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედებას ვერ მოახდენდა. ნინო ჩინჩალაძემ საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საბჭო იღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას მხოლოდ საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა დამსწრე წევრებმაც.

1.17 საბჭოს წინაშე დასკვნის წარდგენა გააგრძელა სალომე წურწუმიამ. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი რეგულირდება ,,დებულების" 7.10 თავში, რომლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ,,სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება დებულებით სტუდენტთა მობილობისათვის განსაზღვრული რეგულაციის ფარგლებში..." სტუდენტის სტატუსის აღდგენის საფუძველი არ არის მხოლოდ მობილობა. ამასთან, მობილობა არის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი, ხოლო შპს - სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიაში მობილობით აღდგენის უფლება ექნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს. შესაბამისად, სტუდენტის სტატუსის აღდგენა, მხოლოდ მობილობისთვის განსაზღვრული რეგულაციის ფარგლებში შეუძლებელია, ვინაიდან ნებისმიერ დაწესებულებაში ჩარიცხულ პირს იმავე დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის აღდგენა შეუძლია მობილობისათვის დადგენილი რეგულაციის გათვალისწინების გარეშე. ვინაიდან ეს არის პირის უფლება, რომელიც მას აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე და მისი შეზღუდვა დაუშვებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას ვინაიდან - მოცემული პუნქტის ა) ქვეპუნქტი არ არღვევდა სტუდენტის უფლებას აღდგენის თაობაზე მობილობის გარეშე არამედ როგორც ქვემოთმოყვანილი დებულების ტექსტიდან ჩანდა იგულისხმებოდა, რომ ა) ქვეპუნქტით სასწავლო უნივერსიტეტი არ უნდა გაცდეს დაგეგმილ კონტიგენტს და ასევე გათვალისწინებულია აღდგენის პერიოდიც გარდა ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ა) სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება მოცემული დებულებით სტუდენტთა მობილობისათვის განსაზღვრული რეგულაციის ფარგლებში და დასაშვებია ავტორიზაციის შედეგად განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ექსპერტებს

ნ. ჩინჩალაძე

სადაოდ არ გაუხდიათ ის ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა სტუდენტთა ადგილებს. სალომე წურწუმიამ განმარტა, რომ დაწესებულის მიერ დადგენილი რეგულაციით ჩანდა, რომ სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდებოდა მხოლოდ მობილობის ფარგლებში, აღნიშნული კი ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სტატუსის შეჩერების საფუძველი იყო ფინანსური დავალიანება, დავალიანების აღმოფხვრის შემთხვევაში შესაძლებელია სტატუსის აღდგენა მოხდეს იმავე სემესტრში, თუკი ამ პერიოდში არ დასრულებულა ფინალური გამოცდები. „დებულების" 7.10 თავში, გარდა ა) და ბ) ქვეპუნქტებისა იყო ასევა სხვა (გ, დ, ვ, ზ,თ) პუნქტები რომლებსაც გააჩნიათ იგივე იურიდიული ძალა რაც ა) და ბ) ქვეპუნქტებს და ემსხურება სტუდენტის აღდგენის რეგულაციას რაც არ აქვს ნახსენები ექსპერტს და შენიშვნის არსი ჩამოყალიბებული აქვს მხოლოდ ორ ა) და ბ) ქვეპუნქტზე დაყრდნობით. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათი სურვილის შემთხვევაში შეეძლო გაეცნო აღნიშნული პუნქტების შინაარსი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გ) ქვეპუნქტის მიხედვით, აღდგენის წესით სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე ერთიანი ეროვნული ან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხნენ და სტუდენტის სტატუსი შეუჩერდათ აღდგენის მსურველად დაფიქსირების მომენტამდე არაუმეტეს 5 წლით ადრე. დ) ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლება აქვთ აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება N10/ნ-ის ძალაში შესვლამდე არაუმეტეს 10 წლით ადრე გარიცხულ/ამორიცხულ სტუდენტებს, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ დებულებით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მექანიკურად, ყოველგვარი გააზრების გარეშე აქვს 7.10 თავის ,,დ'' ქვეპუნქტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის'' მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი გადატანილი. კერძოდ, 7.10 თავის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად ,,სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლება აქვთ აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება N10/ნ-ის ძალაში შესვლამდე არაუმეტეს 10 წლით ადრე გარიცხულ/ამორიცხულ სტუდენტებს, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ დებულებით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი'' - შპს - "სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯია" დაფუძნებულია და სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარდა 2012 წლის 26 დეკემბერს. შესაბამისად, შეუძლებელია მას ჰყავდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ამოქმედებამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტები, რომელთა აღდგენასაც უშვებს ,,დებულებით''. აღნიშნული ჩანაწერი, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ დაწესებულებას, ყოველგვარი გააზრების გარეშე, მექანიკურად აქვს ნორმატიული აქტების ნორმები გადატანილი მის ,,დებულებაში''. ამასთან, ,,დებულებაში'' დაწესებულებას გადაწერილი აქვს სხვადასხვა ნორმატიული აქტების ნორმები სრულად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული პუნქტი არეგულირებდა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლას.

დაწესებულების წარამომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებებს, ვინაიდან - სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლება აქვთ აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება N10/ნ-ის ძალაში შესვლამდე არაუმეტეს 10 წლით ადრე გარიცხულ/ამორიცხულ სტუდენტებს, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ იყო ამ დებულებით დადგენილი სტუდენტის სტატუსის

ნ. ჩანგელია

შეწყვეტის საფუძველი. მოცემულ პუნქტში იგულისხმებოდა სხვა უმაღლესი დაწესებულებებიდან შპს სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯიაში სტუდენტთა აღდგენის რეგულაცია და ამ პუნქტში გაუაზრებელი ჩანაწერი არ არსებობდა.

სალომე წურწუმიამ დამატებით განმარტა, რომ დაწესებულება მოცემულ რეგულაციაში საუბრობდა არა სტუდენტთა მობილობაზე, არამედ სტუდენტთა სტატუსის გარიცხვა- ამორიცხვაზე და სტატუსის შეჩერებაზე. აქედან გამომდინარე, სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მოცემული რეგულაცია ეხებოდა მის და არა მობილობით გადმოსულ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტის შეფასებას.

1.18 სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ,,დებულების'' 7.10 თავის ,,ბ'' ქვეპუნქტის თანახმად ,,იმ შემთხვევაში, თუკი სტატუსის შეჩერების საფუძველი იყო ფინანსური დავალიანება, დავალიანების აღმოფხვრის შემთხვევაში შესაძლებელია სტატუსის აღდგენა მოხდეს იმავე სემესტრში, თუკი ამ პერიოდში არ დასრულებულა ფინალური გამოცდები''. დაწესებულებას ,,დებულების'' 7.5 თავის ,,ა'' ქვეპუნქტში სემესტრული გადასახადის გადახდის თარიღად პირველი სემესტრისათვის განსაზღვრული აქვს არაუგვიანეს - 25 სექტემბერი, ხოლო მეორე სემესტრისათვის არაუგვიანეს - 25 იანვარი. ამასთან ,,დებულების'' 7.8 თავის (პ.ბ.4) შესაბამისად, დაწესებულებას სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლად განსაზღვრული აქვს ფინანსური დავალიანება. თუ სტუდენტს სტატუსის ფინანსური დავალიანების გამო შეუჩერდა 25 სექტემბრამდე თანხის გადაუხდელობის გამო და ფინალური გამოცდების დასრულებადე აღიდგინა სტუდენტის სტატუსი მას მიღებული ვერ ექნება შუალედური შეფასებები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის'' მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ,,დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: ა) შუალედურ შეფასებებს; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.'' დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული ზემოაღნიშნული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, რის საფუძველზე მოახდენს სტუდენტის ,,შუალედურ შეფასებას''. 7.10 თავის ,,ბ'' ქვეპუნქტი არც მითითებას აკეთებს, რომელიმე საფუძველზე, რომელიც აღმოფხვრის სტუდენტის მიერ ,,შუალედური შეფასების'' მიღების საკითხს. დაწესებულებას, რომელიმე დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა ჰქონოდა ,,შუალედური შეფასების'' აღდგენის შესაძლებლობა. რაც არ აქვს განსაზღვრული და არ შეესაბამება ნორმატიული აქტის მოთხოვნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას ვინაიდან - დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა საფუძველი რის შედეგადაც მოახდენდა სტუდენტის შუალედურ შეფასებას ვინაიდან რექტორის 2013 წლის 28 მაისის ბრძანება №2/21 საშუალებას აძლევს სტუდენტს გადაიხადონ გადასახადი ნაწილობრივ, ყოველთვიურად რაც მათ აძლევს შუალედური შეფასების მიღების შესაძლებლობას (იხილეთ დანართი №3). ამ შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მასზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე სტუდენტისათვის შუალედური და ფინალური გამოცდების შეფასების უზრუნველყოფას. სასწავლო ცხრილის შემუშავებითა და პედაგოგის მხრიდან შესაბამისი სამუშაოს შესრულების ხარჯზე. სალომე წურწუმიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა იგულისხმებოდა ნაწილობრივ საფასურის გადახდაში და როგორ მისცემდა სტუდენტს შეფასების მიღების შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თანხის ნაწილობრივ გადახდაში იგულისხმებოდა სტუდენტისთვის დაშვებული ყოველთვიური 0% განვადება. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო დაწესებულების მექანიზმი, ვინაიდან თუ სტუდენტს ფინანსური დავალიანების გამო შეუჩერდა სტატუსი 25 სექტემბრამდე და სტატუსი აღიდგინა დასკვნით გამოცდამდე, როგორ მიიღებდა აღნიშნული სტუდენტი შუალედურ შეფასებებს. სალომე

ნ. ჩიტაია

წურწუმიამ აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტი თავისუფლდებოდა არსებული უფლება-მოვალეობებისგან. საბჭოს წევრმა კახაბერ ჯაყელმა აღნიშნა, რომ მისთვისაც მოცემულ შემთხვევაში გაუგებარი იყო, თუ როგორ მიიღებდა სტუდენტი შუალედურ შეფასებებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში სტუდენტს ექნება შესაძლებლობა მიიღოს შუალედური შეფასებები. საბჭოს წევრი კახაბერ ჯაყელი დაინტერესდა, თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა 25 სექტემბრამდე, შუალედური გამოცდა კი ჩანიშნულია ოქტომბრის თვეში და ამ პერიოდისთვის სტუდენტს თანხის ნაწილი არ აქვს გადახდილი, როგორ მიიღებდა ამ შემთხვევაში იგი შუალედურ შეფასებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ 25 სექტემბრამდე შეუჩერდა სტუდენტს სტატუსი, ოქტომბერში თანხის გადახდის შემდეგ შეძლებდა შუალედური შეფასების მიღებას. თუ ოქტომბერში ვერ მოასწრებდა თანხის გადახდას, მაშინ სტუდენტი ვერ მიიღებდა შუალედურ შეფასებას. კახაბერ ჯაყელმა აღნიშნა, რომ მოცემული რეგულაცია დაწესებულებას მაქსიმალურად ზუსტად და კონკრეტულად უნდა ჰქონოდა გაწერილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განამრტა, რომ აღნიშნული წესის თაობაზე სტუდენტების ინფორმირება მოხდებოდა დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან.

1.19 სალომე წურწუმიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ,,დებულების" 7.11 თავში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ,,სტუდენტთა მობილობის წარმართვა". აღნიშნული თავი ჩაშლილია ქვეთავებად და დაწესებულებას ქვეთავებში გადატანილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების ნორმები. მაგალითად 7.11.1 ქვეთავში დაწესებულებას რეგულირებული აქვს ,,მობილობის პროცესის ადმინისტრირება" და აღნიშნულ ქვეთავში საუბრობს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მობილობის პროცესის ადმინისტრირებაზე, მაშინ, როდესაც დაწესებულების ,,დებულების" რეგულირების საგანი არ არის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის საგანი. ეს გარემოება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დაწესებულება, ყოველგვარი გააზრების გარეშე მექანიკურად ახდენს ნორმათა იმპლემენტირებას მის ,,დებულებაში" და დებულებით ისეთ საკითხებს აწესრიგებს, რაც არ მიეკუთვნება მის ფუნქციას. დაწესებულებას ,,დებულებაში" 7.11 თავის ქვეთავები დასათაურებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მუხლების სათაურებით და თითოეულ ქვეთავში გადატანილი აქვს აღნიშნული ბრძანების შესაბამისი მუხლებით მოწესრიგებული საკითხები. რაც ხაზს უსვამს დებულების შედგენის მექანიკურობას. მაგ. ,,დებულების" 7.11.2 ქვეთავის სათაურია ,,მობილობის უფლების მქონე პირი" ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების მე-3 მუხლის სათაურია ,,მობილობის უფლების მქონე პირი"; ,,დებულების" 7.11.3 ქვეთავის სათაურია ,,მობილობის უფლების შეზღუდვა", ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების მე-4 მუხლის სათაურია ,,მობილობის უფლების შეზღუდვა" და ა.შ.

,,დებულების" 7.11.7 ქვეთავის ,,დ" პუნქტის თანახმად ,,ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში." - აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც ,,დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1

ნ. [illegible]

მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.''

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტების შეფასებებს, ვინაიდან - დებულების შესაბამისად ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა (იგულისხმება ამავდროულად იგივე 7დღის ვადაში) აისახება რეესტრში. 7 დღის ვადაში იგულისხმება კალენდარულ დღეთა რაოდენობა და არა სამუშაო დღეთა რაოდენობა. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მოცემული ჩანაწერი არ არის წინააღმდეგობაში მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტთან. სალომე წურწუმიამ განმეორებით განმარტა, რომ ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში, შესაბამისად, დაწესებულების რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის აქტთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბრძანება 7 დღის ვადაში იგზავნება და აისახება რეესტრში, შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მინისტრის ბრძანებასთან არანაირ წინააღმდეგობას არ ჰქონდა ადგილი.

1.20 დაწესებულებას 7.11 თავის ,,სტუდენტთა მობილობის წარმართვა'' 7.11.6 ქვეთავში ,,საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა'' განსაზღვრული აქვს განათლების აღიარების საკითხები. თუმცა, განათლების აღიარება მიბმული აქვს მობილობაზე და არ აქვს ცალკე განსაზღვრული იმ პირთა განათლების აღიარების საკითხები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ხელახლა მოიპოვებენ სტუდენტის სტატუსს, არ აქვთ კვალიფიკაცია მინიჭებული და სწავლას გააგრძელებენ მსგავს, ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებებს ვინაიდან - დებულების 7.11.6 ქვეთავში განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა განათლების აღიარების საკითხები არ გახლდათ მარტო მობილობაზე მიბმული, რადგან მობილობა ნახსენები იყო მარტო 7.11.6 -ის ა) ქვეპუნქტში. კერძოდ: ა) სასწავლო უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. ხოლო დანარჩენ პუნქტებში რომლებსაც იგივე იურიდიული ძალა გააჩნია როგორც ა) პუნქტს ეს ჩანაწერი არ ფიგურირებს და შესაბამისად ზოგადად ყველა პირის განათლების აღიარების საკითხზე შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც იურიდიული რეგულაცია.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულების რეგულაცია წინააღმდეგობაში იმ საკანონმდებლო ნორმებთან, რომლითაც განსაზღვრული იყო სტუდენტთა მობილობის წესები. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება თავის რეგულაციებში საერთოდ არ საუბრობდა დიპლომირებული სპეციალისტის მიერ მიღებული განათლების აღიარებაზე, ასევე არაფერი იყო განსაზღვრული იმ სტუდენტების განათლების აღიარებაზე, რომლებიც ხელახლა მოიპოვებენ სტუდენტის სტატუსს. შესაბამისად, სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას განათლების აღიარების საკითხი მიბმული ჰქონდა მხოლოდ მობილობაზე. ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, იძლეოდა თუ არა დაწესებულების რეგულაცია ნებისმერი პირისთვის მიღებული კრედიტების აღიარების შესაძლებლობას. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოცემულ შემთხვევაში, ამ მიზნებისთვის სტუდენტი განმარტებული ჰქონდა როგორც მხოლოდ მობილობით გადმოსული პირი. სალომე წურწუმიამ განმეორებით განმარტა, რომ რეგულაციის თანახმად, დაწესებულება მიღებულ განათლებას უღიარებდა მხოლოდ მობილობით გადმოსულ პირებს. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ საგულისხმოა იყო ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილი რეგულაცია მოცემული

ნ. ჩანტლაძე

იყო სტუდენტთა მობილობის 7.11 თავში და ეხებოდა მხოლოდ სტუდენტთა მობილობას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 7.11 თავშია სახული იყო სტუდენტთა მობილობის პროცესი, ხოლო დებულების 7.11.6 ქვეთავში განსაზღვრული იყო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა.

1.21 სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ,,დებულების" 5.4 თავში განსაზღვრული აქვს, აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებები, რომლის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური საბჭო ,,ადგენს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციების, აგრეთვე უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ტრანსფერისა და ცნობის (აღიარების) წესს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად." ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლი განსაზღვრავს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხებს. ამასთან, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხის გადაწყვეტა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პრეროგატივა. შესაბამისად, ,,დებულების" 5.4 თავის ,,ე" პუნქტის აღნიშნული ჩანაწერი, რომ აკადემიური საბჭო ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ადგენს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის, აგრეთვე კრედიტების ტრანსფერისა და ცნობის (აღიარების) წესს, ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლს. ამასთან დაწესებულება ამავე პუნქტში იყენებს ტერმინის ,,სახელობო განათლების" - აღნიშნულ ცნებას ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტების შეფასებებს ვინაიდან - დებულების 5.4. პუნქტის შესაბამისად აკადემიური საბჭო: ადგენს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციების, აგრეთვე უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ტრანსფერისა და ცნობის (აღიარების) წესს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად. რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით ხელმძღვანელობას, კერძოდ ჩანაწერს კანონის 1 პუნქტში: 1. საზღვარგარეთ სწავლის დროს უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო პროგრამებისა და მიღწეული შედეგების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მათი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებთან. რასაც ადგენს აკადემიური საბჭო და რაც შესაბამისად ჩაშლილია დებულების 7.11.6 ქვეპუნქტში და 5.4 თავის ე) ქვეპუნქტში, ხოლო 50-ე მუხლის 2. პუნქტიდან გამომდინარე: 2. საზღვარგარეთ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალურ ცნობას (აღიარებას) და საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ეკვივალენტობისა და ავთენტურობის დადგენას ახდენს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. რაც ნიშნავს რომ ხდება აღიარება დოკუმენტების ფორმალური ცნობა და აღიარება და არა საგანმანათლებლო პროგრამებისა შესაბამისობისა და უცხოეთში მიღებული განათლებისა. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დოკუმენტს გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება და რომ გასცეს ეს დოკუმენტი მან უნდა დაადგინოს შესაბამისობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთან, რასაც მას ავალდებულებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი.

სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში გაუგებარი იყო, თუ როგორ ახდენდა დაწესებულება დიპლომების აღიარებას, როცა აღნიშნული უფლებამოსილება გააჩნდა ცენტრს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ახდენდა არა დიპლომების აღიარებას, არამედ ადგენდა გადმოსული სტუდენტების მიერ გავლილი პროგრამის შესაბამისობას დაწესებულებაში არსებულ პროგრამასთან. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობის

ნ. ხანგ

მიხედვით, ამ ყველაფერს ახორციელებდა ცენტრი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრი ახდენდა არა პროგრამების შესაბამისობის, არამედ დიპლომის აღიარებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სტუდენტები არ ჰყავდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ რაც შეეხება *„სახელობო განათლებას“* - აღნიშნულ ცნებას ჩანაწერი მექანიკურად იყო ასახული და იგი არანაირად არ შეუშლიდა ხელს დაწესებულებას საქმიანობაში.

2. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 შპს - "სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიასა" (ს/კ 400073193) და "საქართველოს უსინათლოთა კავშირს" შორის (ს/კ 206070222) 2013 წლის 21 მაისს გაფორმებულია 142/08 ხელშეკრულება ,,არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის შესახებ'', რომელიც 2013 წლის 10 ივნისს რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. თუმცა ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ იჯარის ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.4 პუნქტის თანახმად ,,იჯარის ხელშეკრულებით ქონების გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.'' ხელშეკრულებას თან არ ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადასტურდება ქონების გადაცემა და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. 1.4 პუნქტის ჩანაწერი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც არ ერთვის ხელშეკრულებას, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება არ არის წარმოდგენილი სრული სახით. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობისას ვერ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი. სალომე წურწუმიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას, როდესაც ექსპერტებმა მოითხოვეს მიღება-ჩაბარების აქტი, დაწესებულების წარმომადგენელმა მათ შესთავაზა, რომ მოიყვანდა უსინათლოთა კავშირის წარმომადგენლებს და ადგილზე გააფორმებდნენ მიღება-ჩაბარების აქტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას, ვინაიდან - საიჯარო ხელშეკრულებას თან ახლდა მიღება–ჩაბარების აქტი, რომელიც ინახებოდა ექსპერტთა ვიზიტის დროს მეიჯარესთან და რომლის მოტანა და წარმოდგენაც შესთავაზეს ექსპერტებს, მაგრამ მათი მხრიდან არ დაფიქსირებულა აღნიშნული მოთხოვნა. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ხელშეკრულება სრულად იყო წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოზე წარმოადგინა აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი. სალომე წურწუმია დაინტერესდა, თუ როდის იყო გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილი იყო მაშინ, როდესაც გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, კერძოდ 2013 წლის 21 მაისს.

საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, იყო თუ არა ხელშეკრულება რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ითვლება სრულ დოკუმენტად, როდესაც სახეზეა მისი ყველა განუყოფელი ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ დადებული ხელშეკრულება არ იყო სრული და თვითონ ხელშეკრულებით იყო დადასტურებული, რომ მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენდა ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში და მას თან ახლდა მიღება-ჩაბარების აქტიც. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემები, სანამ არ დამტკიცდებოდა საწინააღმდეგო, ითვლებოდა უტყუარ მტკიცებულებად.

2.2 დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა ერთ მისამართზე არის 863.28 კვ.მ. თუმცა, აღნიშნულ ფართში სასწავლო პროცესისათვის გამოსაყენებელი ფართი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მერხებითა და სავარძლებით არის მხოლოდ 492 კვ.მ. დაწესებულებას სასწავლო პროცესისათვის გამოსაყენებელ ფართში, სადაც შესაძლებელია სასწავლო პროცესის

წარმართვა, ვერ ჩაეთვლება ,,ინდივიდუალური საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტით'' განსაზღვრულ ნახაზზე მოცემული ,,№26'' შენიშვნა: 371.28 კვ.მ, რომელიც წარმოადგენს საკონფერენციო დარბაზს, მასში განლაგებულია 432 სავარძელი და არ არის მერხები. შესაბამისად, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საკონფერენციოდ და ამ ფართში ვერ წარიმართება სასწავლო პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას. ამასთან, აღნიშნულ საკონფერენციო დარბაზში არ არის გათბობის საშუალებები. დაწესებულებას სასწავლო ფართში ვერ ჩაეთვლება ,,№59'' შენიშვნა: 50.4 კვ.მ ვინაიდან აღნიშნული აუდიტორია განლაგებულია დაწესებულების მეორე სართულზე იმ დამხმარე ფართის წინ, რომელშიც განლაგებულია ელექტრო სისტემები და მაღალი ძაბვის ელექტრო ხაზები (ნახაზზე: №57 შენიშვნა). ხოლო მანძილი ,,№59'' შენიშვნასა და დამხმარე ფართს შორის, სადაც განთავსებულია ელექტრო სისტემები და მაღალი ძაბვის ელექტრო ხაზები იმდენად მცირეა, რომ საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, შესაძლოა ვერ მოხერხდეს პირის ევაკუირება. ამასთან მაღალი ძაბვის ელექტრო ხაზებთან აუდიტორიის არსებობა, სადაც წარიმართება სასწავლო პროცესი, საფრთხის ქვეშ აყენებს იქ მყოფ პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამასთან, ,,№59'' შენიშვნა განთავსებულია მეორე სართულზე, მასთან მისასვლელი გზა არის მხოლოდ რკინის კიბე, რომელიც არ არის მყარი. ოთახში შესასვლელი და გასასვლელი არის ერთი კარი, რომელიც პირდაპირ გადის კიბესთან, სხვაგვარად აღნიშნული ფართიდან გამოსვლა შეუძლებელია. ,,№59'' შენიშვნა: 50.4 კვ.მ დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს დამხმარე ფართად. ამასთან, აღნიშნულ ფართში არ არის გათბობის საშუალებები.

2.3 დაწესებულების სასწავლო ფართი არ არის აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის გამართულად და ნორმალურად ფუნქციონირებას. დაწესებულების შენობა არ არის გათვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის განხორციელებისათვის. აუდიტორიები ფუნქციურად არის კაბინეტური სახის და მცირე ზომის. ინვენტარის უმეტესი ნაწილი მოძველებულია და შეუძლებელია სტუდენტებისათვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნა.

დაწესებულების ინვენტარის ადგილზე დათვალიერებით დაწესებულების მიერ ადგილზე წარმოდგენილ იქნა 15 - კომპიუტერი; 8 - ლეპტოპი; 4 - პრინტერი; 1 - სკანერი; 1 - ასლგადამღები. ჩუქების ხელშეკრულებებითა და ნასყიდობის ხელშეკრულებებით დასტურდება 19 კომპიუტერისა და 6 ლეპტოპის დაწესებულებისათვის გადაცემა. მოცემულ შემთხვევაში რეალურად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 15 კომპიუტერი. ამასთან, ხელშეკრულებები არ იძლევა იმის იდენტიფიცირების საშუალებას, თუ როგორი მახასიათებლებისა და რომელი ფირმის კომპიუტერები იქნა გადაცემული დაწესებულებისათვის. ხელშეკრულებებში საუბარია ,,კომპიუტერის'' გადაცემაზე, თუმცა ვერ ხერხდება მისი იდენტიფიცირება. ამასთან, ვერც პორტატული კომპიუტერის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. წარმოდგენილი 8 პორტატული კომპიუტერიდან ხელშეკრულებებში საუბარია მხოლოდ 6-ზე. ამასთან, ვერც მათი იდენტიფიცირება ხერხდება ვინაიდან არ არის აღწერილი მათი მახასიათებლები და ხელშეკრულებებში ჩანაწერია მხოლოდ ,,ლეპტოპი''.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპიუტერების მახასიათებლების შემოწმება შეიდოდა ექსპერტთა კომპეტენციაში და მათ მარტივად შეეძლოთ მახასიათებლების დადგენა. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ექსპერტებმა იმიტომ არ შეამოწმეს კომპიუტერების მახასიათებლები, რომ შენიშვნა დაეფიქსირებინათ. ანა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არანაირი ინტერესი არ გააჩნდა, რომ დაწესებულებისთვის დაეფიქსირებინა შენიშვნები.

სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საკონფერენციო დარბაზი, რომელიც არ წარმოადგენს კონფერენციებისა და შესაბამისი ღონიძიების წარსამართ ფართს. აღნიშნულ

საკონფერენციო დარბაზში არის სცენა, რომელიც არის 205.32 კვ.მ და ძირითადად განკუთვნილია სასცენო ღონისძიებების წარსამართად, კონცერტებისა და თეატრალური წარმოდგენების გასამართად.

დაწესებულებაში ადგილზე დათვალიერებით სასწავლო ფართში, რომელიც გამოყოფილია სასწავლო პროცესისათვის (აუდიტორია) განთავსებული აქვს 247 სკამი და შესაბამისი მერხები, რომლებიც არის მოძველებული და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ,,ინდივიდუალური საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტით" განსაზღვრულ ნახაზზე ,,№26" შენიშვნაში: 371.28 კვ.მ, განსაზღვრულ ოთახში არის 432 სავარძელი, რომელთა განცალკევება და აუდიტორიებში სასწავლო პროცესის წარსამართად გამოყენება შეუძლებელია, ისინი წარმოადგენენ ერთთმანეთზე გადაჯაჭვულ ინვენტარს.

2.4 დაწესებულებაში არის ელექტოენერგიის უწყვეტი სისტემა და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დაწესებულებაში არის სველი წერტილები, როგორც პირველ სართულზე ასევე, მეორე სართულზე. პირველ სართულზე განლაგებულ სველ წერტილებში არ არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის.

სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დაწესებულებაში დასაქმებული პირი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ პირველ სართულზე არსებული სველი წერტილები იყო სრულიად მოუწესრიგებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისი აზრით, საკონფერენციო დარბაზი, ფართით 371 კვ.მ. გამოყენებული იქნებოდა სასწავლო მიზნებისთვის, კერძოდ ზეპირი პრეზენტაციებისა და მეცნიერული თემებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული კონფერენციებისთვის. ამ ფართის გამოკლებითაც, დაწესებულებას სასწავლო ფართად რჩებოდა 492 კვ.მ, რაც სასწავლო პროცესის ჩატრებისთვის იყო სავსებით საკმარისი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა შენიშვნა, იმის შესახებ რომ დაწესებულებას სასწავლო ფართში ვერ ჩაეთვლება „№59" შენიშვნა: 50.4 კვ.მ ოთახი, არის არაკომპეტენტური, რადგან ტექნიკური სტანდარტებიდან გამომდინარე, ყველა მაღალი ძაბვის ხაზები უკავშირდება სს თელასის სატრანსფორმატორო გამანაწილებელ სადგურებს, საიდანაც ტრანსფორმირებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების გამომავალი დენით მარაგდება მთელი დასახლებული უბნები და ვინაიდან შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯია არ ასრულებს სატრანსფორმატორო სადგურის როლს და არ გახლავთ სს თელასის დაქვემდებარებული გამანაწილებელი სადგური, რომლებშიც ყველას ეკრძალება შესვლა და არა მარტო ექსპერტებს სპეციალურად მომზადების ელექტროტექნიკოსების გარდა, მეტყველებს იმაზე რომ შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯიას ტერიტორიაზე მითუმეტეს შენობაში არ არის არავითარი მაღალი ძაბვის ხაზები. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ელეტროსისტემებთან დაკავშირებითაც, რომლებიც ასევე ქვესადგურების დანადგარებს განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ, რომ მოცემული დამხმარე ფართი წარმოადგენს შენობის სრულიად იზოლორებული რკინის კარით დაკეტილ საყოფაცხოვრებო 220 ვოლტით ელექტრომომარაგების სამფაზიან კვანძს, რაც აუცილებელია შენობის უწყვეტად ელექტროენერგიით მომარაგებისათვის. აქედან შენობას არ ემუქრება ხანძარსაშიშროება და სადაც თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სამსახურის უშუალო დათვალიერებისა და შემოწმების შემდეგ გაიცა ცნობა შენობის ხნძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესახებ და სადაც დაცულია ყველა უსაფრთხოების ზომა. რასაც ადასტურებენ თავად ექსპერტები უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებაში. რაც შეეხება კიბის სიმყარეზე გამოთქმულ შენიშვნას ექსპერტების მიერ, შველერებზე შედუღებული რკინის კონსტრუქციების კიბის სიმყარის შეფასება, როგორც არამყარის არადამაჯერებელია.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამატებით შპს სასწავლო უნივერსიტეტ "ვიტა ჯორჯიამ" მიმართა ოფიციალური წერილით სს თელასს საიდანაც მიიღო

6. [illegible]

იფიციალური წერილი იმის დასტურად, რომ მაღალი ძაბვის ხაზები შ. პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი "ვიტა ჯორჯიას" ტერიტორიაზე არ გადის არამედ ორთაჭალაში არსებობს სს თელასის კუთვნილი საჰაერო ელ.გადამცემი მაღალი ძაბვის ხაზი ნარიყალა 1, 2 რომელიც გადის მიმდებარე ტერიტორიაზე და ზემოთაღნიშნული ხაზი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთლობას საფრთხეს არ უქმნის.

სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება გათბობის საშუალებების არსებობა რამდენიმე აუდიტორიაში, თუმცა ვერ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გათბობის საშუალებების შესყიდვის ხელშეკრულება ან სხვაგვარად საკუთრებაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა გათბობის საშუალებების კანონიერი ფლობა. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას გათბობის სისტემა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულ შენობაში დახვდა, თუმცა იჯარის ხელშეკრულებაში საუბარი არ არის გათბობის სისტემის გადაცემაზე და არც მიღება ჩაბარების აქტი ერთვის იჯარის ხელშეკრულებას მოძრავი ნივთების გადაცემის თაობაზე. ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გათბობის სისტემა ექსპლუატაციაში არ არის შესული ვინაიდან სტუდენტები არ ჰყავთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო ცენტრალური გათბობის სისტემა და წარმოადგენდა აღნიშნულის დამადასტურებელ ფოტომასალას. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მხოლოდ 2 ოთახში იყო დამონტაჟებული რადიატორი და რომ ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღებოდა ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გათბობის სისტემა სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას გადაეცა მიღება ჩაბარების აქტით, რომელიც თან ახლავს იჯარის ხელშეკრულებას და ხელს აწერს ორივე მხარე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდშივე შენობაში იყო ცენტრალური გათბობის სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ მთელი შენობა იყო დაქსელილი გათბობის მილებით და აღჭურვილი ძლიერი გათბობის ქვაბებით, რაც იძლევა საშუალებას არა მარტო გათბობის ბატარეების დამატება-დამონტაჟებისა, არამედ ახალი დამატებითი ხაზების დამატებისაც. რაც დასტურდება შესაბამისი ფოტომასალითა და ტექნიკური მახასიათებლებით. გარდა ამისა, დამატებით, როგორც მიღება ჩაბარების აქტით, ისე შესყიდვის აქტებით დასტურდება 11 ავტონომიური ზამთარი-ზაფხული სისტემის ძლიერი კონდიციონერის ფლობა, რაც საშუალებას იძლევა მათი ნებისმიერ ადგილზე განლაგებისა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ექსპერტებს შესთავაზეს კიდეც, რომ ჩაერთოთ გათბობის სისტემა. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას გათბობის სისტემის მიღება-ჩაბარების აქტი არ ჰქონდა წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ასეთი დოკუმენტი ექსპერტებს არ ჰქონდათ მოთხოვნილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა ოთახში იყო რადიატორი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ დაწესებულების ყველა ოთახში დამონტაჟებული იყო რადიატორი, რატომ არ ასახეს ეს ექსპერტებმა დასკვნაში. ექსპერტმა ანა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, დაწესებულებამ გათბობის საშუალებების გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარები აქტი გააფორმა ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ, ვინაიდან ვიზიტის პერიოდში მათ აღნიშნული დოკუმენტი ვერ წარმოადგინეს. დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა მას იმის დამადასტურებელი რაიმე საბუთი, რომ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებული იყო ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ მან ვიზიტის მიმდინარეობისას პირადად მიმართა სხდომაზე მყოფ დაწესებულების წარმომადგენელს ზაზა გოგოლიძეს და სთხოვა წარმოედგინა მიღება-ჩაბარების აქტი, რაზეც სალომე წურწუმიას განმარტებით ზ. გოგოლიძემ მიუგო, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა მიღება-ჩაბარების აქტი და უმოკლეს დროში გააფორმებდა. ზ. გოგოლიძემ უარყო აღნიშნული ინფორმაცია.

ნ. ჩიტაია

2.5 დაწესებულებას აქვს შემუშავებული საქმისწარმოების წესი, რომელშიც განსაზღვრული აქვს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვის წესი. აქვს ჟურნალები სადაც მიმდინარეობს კორესპონდენციების, ხელშეკრულებებისა და აქტების აღრიცხვა. ჟურნალები არის დალუქული შესაბამისი წესით და დანომრილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსები არ არის ბეჭედდასმული და ხელმოწერილი, მაშინ როდესაც თითოეული სილაბუსის ბოლოში ხელმოწერის ვალდებულებაა განსაზღვრული. შეუძლებელია იმის გარჩევა, თუ რომელი სილაბუსი წარმოადგენს დედანს და რომელია ასლი.

დაწესებულებას ,,ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმებში'' განსაზღვრული არ აქვს მემორანდუმის მოქმედების ვადა და შემდგომ ხელით აქვს მიწერილი მემორანდუმებში მოქმედების ვადა. გაურკვეველია, თუ როდის მიაწერა დაწესებულებამ მოქმედების ვადა მემორანდუმს. ჩასწორება არ არის დამოწმებული და გაურკვეველია მეორე მხარე იყო, თუ არა ჩასწორებაში მონაწილე და არის, თუ არა ინფორმირებული ჩასწორების თაობაზე.

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებულია საქამისწარმოების წესი, რომელშიც განსაზღვრულია დოკუმენტაციის სახეები, დოკუმენტების აღრიცხვა, მოძრაობა და გაფორმება, ბრძანებების რეგისტრაცია, ხელშეკრულებების აღრიცხვა, სხდომებისა და თათბირების ოქმების გაფორმება, პირადი საქმეების წარმოება, მასში არსებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი. დადგენილი წესით ხელშეკრულებების აღრიცხვა ხდება სარეგისტრაციო ჟურნალში, "თითოეულ ხელშეკრულებას ენიჭება ინდივიდუალური ნომერი, რომელიც შედგება ხელშეკრულების სახის ასობრივი აღნიშვნისაგან - "შ" - შრომითი ხელშეკრულებისათვის ....". დაწესებულებაში არსებული შრომით ხელშეკრულებებზე არ არის მინიჭებული ნომერი ისე როგორც ეს გაწერილია რექტორის მიერ დამტკიცებულ წესში. ასევე, წესი აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში შემოსული ნებისმიერი განცხადება უნდა გატარდეს სათანადო წესით, თუმცა საკონკურსო განაცხადების რეგისტრაცია არ დასტურდება - არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ჟურნალი, სადაც იქნებოდა აღრიცხული განმცხადებელთა შესახებ მონაცემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკონკურსო განცხადებათა რეგისტრაცია-აღრიცხვა სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდებოდა ელექტრონული ფორმით, სადაც დაწვრილებითი ინფორმაცია იყო თითოეული კონკურსანტის შესახებ. კონკურსანტთა მიერ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე მეტყველებდა რანჟირებულ ქულების მიხედვით კონკურსანტთა შეფასების, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის დანართი №1, რომელშიც ასახული იყო მასალა, თუ ვინ რამდენი ქულა დააგროვა და რა შედეგები მოიპოვა კონკურსში, რითაც დასტურდებოდა კონკურსში მონაწილე კონკურსანტთა მონაცემები რაოდენობა და მოტივი. ხოლო ზემოთმოცემული შეფასება კონკურსის არაგამჭვირვალობის შესახებ ექსპერტთა მხრიდან აგებული იყო მხოლოდ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმზე სხვა მასალების გაუთვალისწინებლად. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ მას შეეძლო წარმოედგინა, როგორც რეგისტრაციის ჟურნალი, ასევე კონკურსანტთა შეფასების ოქმი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 შპს - "სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას" დებულების მე-6 თავით განსაზღვრულია ,,აკადემიური პერსონალი'', 6.1.1 ქვეთავით განსაზღვრულია ,,ფორმალური მოთხოვნები'', რომლის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად ,,ასისტენტ-პროფესორი - თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობაში, აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: დოქტორის აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტი'', აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით. დოქტორანტი დაუშვებელია არჩეულ იქნეს ასისტენტ-

პროფესორად, შესაბამისად დაწესებულება აღნიშნული ჩანაწერით არღვევს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

ლელა ქელბაქიანმა კითხვით მიმართა ექსპერტს, შეეძლო თუ არა დაწესებულებას, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, წესდებით განესაზღვრა აკადემიურ თანამდებობაზე ხარისხის არ მქონე პირის არჩევის შესაძლებლობა. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ 2013 წლის 6 სექტემბერს ცვლილება შევიდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ მოცემული კანონის იმავე მუხლში განსაზღვრული იყო, რომ აკადემიური ხარისხის არმოქნე პირს, პროფესიული ნიშნით, შეეძლო დაეკავებინა აკადემიური თანამდებობა, იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაზღვრული იქნებოდა დაწესებულების წესდებით. სალომე წურწუმია დაეთანხმა ლელა ქელბაქიანს და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ასისტენტ-პროფესორი. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ შენიშვნა ეხებოდა იმას, რომ დაწესებულებას განმარტებული ჰქონდა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ასისტენტ-პროფესორი და აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგებოდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი დარღვეული არ არის, რადგან დაწესებულებაში, კონკურსიდან გამომდინარე არ იყო არჩეული არც-ერთი დოქტორანტი ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებებამდეც, შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას მიერ ჩატარებულ კონკურსში არჩეული იყო ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ყველა დოქტორის ხარისხის მქონე პირი. დებულების ჩანაწერიდან გამომდინარე რომ ეხელმძღვანელა კონკურსში მოცემული რედაქციით დაწესებულებას აუცილებლად დაუფიქსირდებოდა ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე დოქტორანტი, რაც არ მომხდარა და პრიორიტეტი მიენიჭათ ყველა დოქტორის ხარისხის მქონე პირს.

სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდებოდა დაწესებულების მიერ დადგენილი წესი, რომელიც ასისტენტ-პროფესორისთვის ადგენდა ფორმალურ მოთხოვნებს და რომლის მიხედვითაც ასისტენტ-პროფესორი შესაძლოა ყოფილიყო დოქტორანტი. სალომე წურწიმიამ დამატებით განმარტა, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით, ვრცელდებოდა ყველა დაწესებულებაზე, მათ შორის, კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც. შესაბამისად, სალომე წურწუმიამ განმარტა, რომ დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესი მოდიოდა წინააღმდეგობაში აღნიშნულ ნორმასთან.

საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქინმა აღნიშნა, რომ კანონის მიხედვით, დაწესებულებას შეიძლება წესდებით ჰქონოდა განსაზღვრული პროფესიული ნიშნით ხარისხის არმქონე პირების მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი. სალომე წურწუმია დაეთანხმა მოცემულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ მაშინ, დაწესებულებას წესდებით გათვალისწინებული წესის და არა საერთო წესის შესაბამისად უნდა ჰყოლოდა არჩეული ასისტენტ-პროფესორები. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წესდებით არ ჰქონდა განსაზღვრული პროფესიული ნიშნით ხარისხის არმქონე პირების მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი.

3.2 დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი აკადემიური თანამდებობების დაკავების წესის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია აკადემიურ თანამდებობების სტატუსები, თითოეული სტატუსის შესაბამისად მათზე დაკისრებული მოვალეობები, აკადემიური თანამდებობის კონკურსის

წესის ჩატარების შესახებ, ჩატარებისა და განცხადების მიღების ვადა ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად. კონკურსის შედეგების პირობები, მაგალითად: თუ რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ შევიდა განაცხადი ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ადგილები, რჩება ვაკანსია; დაუშვებელია ერთ პოზიციაზე შემოტანილი განცხადებების განხილვა მეორე პოზიციაზე. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად; აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა გათვალისწინებულია 6 წლით; კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები გამოსახული ქულებში - მაგალითად აკადემიური ხარისხი ენიჭება 20 ქულა; პედაგოგიურ გამოცდილებას 0-1 წლამდე 1 ქულა; 1-3 წლამდე 3ქულა; 3-5 წლამდე 5 ქულა; 5-დან ზევით 10 ქულა; პუბლიკაციებზე განსაზღვრულია ქულათა რანჟირება; განსაზღვრულია კონკურსის დროს წარმოსადგენი დოკუმენტაცია; კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია; საკონკურსო კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობები; კონკურსის შედეგების გასაჩივრება.

2013 წლის მარტში გამოიცა რექტორის ბრძანება აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ - ბიზნესის ადმინისტრირებისა (სრული პროფესორი 3 საშტატო ერთეული; ასოციორებული პროფესორი 10 საშტატო ერთეული; ასისტენტ-პროფეორი 3 საშტატო ერთეული) და ჯანდაცვის (სრული პროფესორი 2 საშტატო ერთეული; ასოცირებული პროფესორი 6 საშტატო ერთეული; ასისტენტ-პროფესორი 2 საშტატო ერთეული) მიმართულებით. კონკურსის შესახებ განაცხადი გამოქვეყნდა 2013 წლის 29 მარტს გაზეთ "24 საათში". განცხადების ტექსტში მითითებულია, რომ "კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის პირველი აპრილიდან, საბუთების მიღება იწარმოებს პირველი მაისიდან 10 მაისის ჩათვლით.

საკონკურსო კომისიის შენადგენლობა განისაზღვრა 5 წევრით. საბუთების მიღების დასრულების შემდეგ საკონკურსო კომისიას გაწერილი წესის თანახმად უნდა გადასცემოდა მასალები მიღება-ჩაბარების აქტით. წესის თანახმად საკონკურსო კომისიის "სხდომის ოქმში უნდა აისახოს, თუ ვისი საქმე აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ოქმში ასევე უნდა აისახოს, თუ ვის და რატომ ეთქვა უარი კონკურსში მონაწილეობაზე."

საკონკურსო განაცხადით გამოცხადებული ვაკანსიები შეივსო სრულად, კონკურსის შედეგად არჩეულ იქნა 26 კანდიდატი. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ გამოცხადებულ 26 ვაკანტურ ადგილზე შემოსულია 26 განაცხადი, "საკონკურსო კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად და დეტალურად იქნა განხილული თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია", რომლის დასადასტურებლად წარმოდგენილი თითოეული კანდიდატის შეფასება დადგენილი წესის კრიტერიუმებით და მინიჭებული ქულებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კონკურსში მონაწილეობა სხვა პირებმაც მიიღეს, თუმცა ვაკანსიის შეზღუდული რაოდენობით გამოცხადების გამო მათ ვერ დაიკავეს თანამდებობა. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ კონკურსანტთა განცხადებები და დოკუმენტაცია. აღასანიშნავია, ის ფაქტი, რომ დაწესებულების საქმისწარმოების წესში განსაზღვრული წესი ნებისმიერი განცახდების შემოსვლისას მის შესაბამის ჟურნალში გატარების შესახებ შესრულებული არ არის, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ მომხდარა ამ განცხადებების აღრიცხვა, ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კონკურსის ჩატარების წესი ითვალისწინებს ოქმში იმ ინფორმაციის ასახვას, რომელიც განმარტავდა ვის და რატომ ეთქვა უარი თანამდებობის დაკავების შესახებ, თუმცა კონკურსის ოქმებით ეს არ დასტურდება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება კონკურსის ჩატარების გამჭვირვალე პროცედურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა პოზიციას და დაწესებულებას აღნიშნულ საკითხზე უკვე ჰქონდა პასუხი გაცემული, როდესაც საბჭოზე განიხილეს 2.5 შენიშვნა.

3.3 აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. დაწესებულებასა და აკადემიურ პერსონალს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა არის კერძო სამართლებრივი ურთიერთობა და რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით. დაწესებულების მიერ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლის საფუძველზეც დაიდო ხელშეკრულებები. საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებს. აღნიშნული პუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ა) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა; ბ) სამუშაო დრო და დასვენების დრო; გ) სამუშაო ადგილი; დ) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე; ე) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი; ვ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ზ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი. აღნიშნული მოთხოვნები, კუმულატურია და მხოლოდ ყველა პირობის ხელშეკრულებაში გათვალისწინების შემთხვევაშია სახეზე კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულება. აკადემიურ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული სამუშაო ადგილი და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი. აღნიშნული არსებითი პირობების ხელშეკრულებაში არ არსებობა არღვევს კანონმდებლობით დაწესებულ ხელშეკრულების არსებით პირობებს. შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ ასრულებს კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ.

აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირებთან ასისტენტ-პროფესორებთან გაფორმებულია ხელშეკრულება 6 წლის ვადით, რაც წინააღმდეგობაში საქართველოს კანონმდებლობასთან, კერძოდ „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით. ხელშეკრულებებში, რომლებიც გაფორმებულია 2014 წლის 21 იანვარს, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობაა 6 წელი, რაც ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული კანონის იმპერატიულ დანაწესს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 3 ან 4 წლის ვადით არჩევის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა ექსპერტთა პოზიციას, ვინაიდან, სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯიას შემუშავებული ჰქონდა შრომითი შინაგანაწესი, რომლის 1.5 პუნქტის თანახმად, შრომითი შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მას დასაქმებულები ეცნობიან ინდივიდუალური წესით და ადასტურებენ ხელმოწერით. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დასაქმებულის უფლება-მოვალეობები, რომლებიც არ აისახა წინამდებარე შრომის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებაში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით. დასაქმებულის შრომითი ანაზღაურება გაიცემა ყოველთვიურად საათობრივი გაანგარიშების გრაფიკის გამოყენებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ყველა წარმოდგენილი ნორმა მოცემული იყო დაწესებულების შრომით შინაგანაწესში. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ შინაგანაწესი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, თუ ეს პირდაპირ ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. სალომე წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ დადებული შრომითი ხელშეკრულებები ასეთ დათქმას არ ითვალისწინებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომის კოდექსში იყო მითითება, რომლის მიხედვითაც, შინაგანაწესი წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.სალომე წურწუმიამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ შინაგანაწესი მხოლოდ მაშინაა ხელშეკრულების

ნ. ...

განუყოფელი ნაწილი, თუ ამის თაობაზე დათქმას ითვალისწინებს თავად შრომითი ხელშეკრულება. დაწესებულების მიერ დადებულ ხელშეკრულებებში მსგავსი დათქმა არ იყო გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა ლილი ბიბილაშვილმა დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა მითითებული შრომით ხელშეკრულებებში, რომ შინაგანაწესი წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომითი შინაგანაწესის 1.5 პუნქტის თანახმად, შრომითი შინაგანაწესი წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო მითითება იმის თაობაზე, რომ შინაგანაწესი წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, თუმცა შინაგანაწესს დასაქმებულები ეცნობოდნენ ინდივიდუალური წესით და აღნიშნულს ადასტურებდნენ ხელმოწერით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას სურდა 2.5 პუნქტში მემორანდუმებთან დაკავშირებულ საკითხზე გაეკეთებინა განმარტება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული იყო ორ იურიდიულ პირს შორის, რომელებსაც ორივე მხარე ეთანხმებოდა და აწერდა ხელს და თითოეულს გააჩნდა თანაბარი იურიდიული ძალის მქონე თითო ეგზემპლარი, რომელიც შეუძლია ყოველთვის შეწყვიტოს ან გაასაჩივროს თუ აღმოაჩინა მასში რაიმე დარღვევა. ამიტომ ექსპერტების შენიშვნა შეიძლება შეფასდეს როგორც სხვა იურიდიული პირის კომპეტენციაში შეჭრა. მათი მოქმედება შეიძლება შემოიფარგლოს რეაგირებით თუ შემოწმების შედეგად დადგინდა რომ ხელშეკრულება ბათილია. შესაბამისად, ექსპერტებს შეეძლოთ გაეკეთებინათ შეფასება იმის თაობაზე, იყო თუ არა ეს მემორანდუმები ბათილი და არა იმაზე, ხელით იყო თუ არა რაიმე ამ მეორანდუმებში მიწერილი.

სხდომაზე 20:20 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 20:35 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
ბომბრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 400073193) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

ნ. ...

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა ლილი ბიბილაშვილმა განაცხადა თვითაცილება, შესაბამისად საკითხის განხილვასა და გადაწყვეეტილების მიღების პროცესში არ მიიღო მონაწილეობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებს გარკვეული შენიშვნები ჰქონდათ დაფიქსირებული დაწესებულების შეფასების სისტემასთან და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 ,,სტუდენტის სტატუსის შესახებ" უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის 8.5 პუნქტის მიხედვით, ,,თუ სტუდენტი სემესტრის განმავლობაში გააცდენს საგნის პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობების 25%-ზე მეტს, ის ჩაიხსნება საგნიდან და გაუფორმდება შეფასება ,,F", რაც ითვალისწინებს საგნის ახლიდან შესწავლას დამატებითი გადასახადის გადახდის უზრუნველყოფით". საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისად, შეფასება ,,F" (,,ჩაიჭრა") სტუდენტს უფორმდება თუ მის მიერ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში მიღებული შედეგების ჯამი არის 40% ან ნაკლები.

1.2 უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული რეგულირება დადებითი შეფასების (51% ან მეტი) მქონე სტუდენტს ავალდებულებს საგნის ხელმეორედ გავლას, შესაბამისი თანხის გადახდის ვალდებულებით. ,,სტუდენტის სტატუსის შესახებ" დებულების მიხედვით, საბაკალავრო პროგრამის თითოეული კურსისათვის სტუდენტმა უნდა მოაგროვოს GPA-ს განსაზღვრული რაოდენობა 2.0-დან 2.6-მდე ფარგლებში (განსხვავებულია სკოლებისა და ჩარიცხვის წლების მიხედვით), წინააღმდეგ შემთხვევაში მან თავიდან უნდა გაიაროს მინიმალური შეფასების მქონე სამი საგანი დამატებითი საფასურის გადახდის უზრუნველყოფით. (რაც მას არ უზღუდავს პრერეკვიზიტული სისტემით მომდევნო საგნის გავლის უფლებას).

აგრეთვე ამავე დებულების მიხედვით, ,,სტუდენტს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯამური ნიშნების საშუალო შეწონილი (GPA) არის 3.0 ან მეტი. აღნიშნული მოთხოვნის შესრულებამდე ის ვერ მიიღებს მაგისტრის ხარისხს." საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მიხედვით სტუდენტს სასწავლო/კვლევითი კომპონენტი ჩაბარებულად ეთვლება დადებითი შეფასების (51% და მეტი) მიღების შემთხვევაში.

„სტუდენტის სტატუსის შესახებ" დებულების 24-ე მუხლში მოცემული ქულობრივი შეფასების GPA-ში გადაყვანის სისტემის მიხედვით, 2.0 და მეტი GPA-ს მისაღებად სტუდენტის სასწავლო წლის განმავლობაში გავლილ ყველა საგანში/კვლევით კომპონენტში მინიმალური დადებითი შეფასებების 51% მიღება არ იქნებოდა საკმარისი. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს გარკვეული

6. [illegible]

საგნების გავლა მოუწევდათ თავიდან, ხოლო სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს არ მიენიჭებოდა მაგისტრის ხარისხი.

1.3 „სტუდენტის სტატუსის შესახებ" დებულების 21.7 პუნქტის მიხედვით, ,,საგნის დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება დამატებითი ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია დამატებითი მომსახურების ღირებულება. (მაგ. კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (FX - 41%-50%) შეფასების მიღების შემთხვევაში, იმავე სემესტრში განმეორებითი დაცვის საფასური წარმოადგენს 500 ლარს). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მიხედვით, კრედიტი არის ერთეული რომელიც ასახავს სტუდენტის დატვირთვას, რომელიც სხვა აქტივობებთან ერთად მოიცავს გამოცდების მომზადება-ჩაბარებას (,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მე-2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები). აღნიშნული წესის მე-7 მუხლის ,,ბ.ა" ქვეპუნქტი სტუდენტს უფლებას აძლევს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ მისი შეფასება არის (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%.

თამარ შუდრამ აღნიშნა, რომ ექსპერტა ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტების შენიშვნებზე იძლეოდა დეტალურ და ამომწურავ პასუხებს. თამარ შუდრამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული უზუსტობები გაასწორა.

2. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით ,,კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე". დაწესებულების მიერ კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებაში და საინფორმაციო საშუალებებში (გაზეთი 24 საათი, ,,ჯობს.გე") გაკეთებულ საკონკურსო განაცხადში მითითებულია მხოლოდ საბუთების მიღების საბოლოო ვადა. თუმცა კონკურის გამოცხადებასა და კონკურსის ჩატარებას შორის შუალედი შეადგენს 2-3 თვემდე პერიოდს და საბუთების მიღების დაწყების თარიღი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

აკადემიური კონკურსის გამოცხადების შესახებ უნივერსიტეტის პრეზიდენტის ზოგიერთ ბრძანებაში (29.09.2012; 25.08.2012; 14.05.2013) არ არის დეტალურად ჩაშლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვაკანტური აკადემიური პოზიციებისათვის (ხარისხისა და პედაგოგიური გამოცდილების ხანგრძლივობა), არამედ არსებობს ზოგადი ჩანაწერი - აკადემიური ცენზი (დოქტორი, დოქტორანტი, მაგისტრი) და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება (პოზიციებისათვის განსაზღვრული წლების მიოითების გარეშე).

თამარ შუდრამ დამატებით განაცხადა, რომ კონკურსის გამოცხადებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნების დეტალურად ჩაუშლელობის მიუხედავად, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ასეთი კონკურსის შედეგად არჩეული აკადემიური პერსონალი და მათი კვალიფიაცია შესაბამისობაში იყო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, მაია გონაშვილმა 2.1 პუნქტზე განაცხადა, რომ დაწესებულების მხრიდან კონკურსის ვადები არ იყო დარღვეული, თუმცა დაწესებულება გაითვალისწინებდა ექსერტების მოსაზრებებს და მომავალში ეცდებოდა მსგავსი ფაქტების თავიდან აცილებას.

შპს კავკასიის უნივერსტეტის პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ განაცხადა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებდა ექსერტების მოსაზრებებს და მომავალში მაქსიმალურად ეცდებოდა მსგავსი ფაქტების თავიდან აცილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 4000-ით განსაზღვრა.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი რამიშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას 4000 სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 30 დეკემბრის №127/ს გადაწყვეტილებით შპს კავკასიის უნივერსიტეტს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით. შესაბამისად, თუკი, დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ანუ - 2014 წლის 30 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 4000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205050567) 2014 წლის 30 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 4000-ით.

4. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის სხდომაზე ექსპერტთა გამოუცხადებლობის გამო ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის სამმათველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა. მან აღნიშნა, რომ:

დაწესებულებამ ავტორიზაცია მოიპოვა შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისში, ლუბლიანას ქ. N2/6 2065.87 კვ.მ. ამჟამად დაწესებულებამ თხოვნით მიმართა ცენტრს კონტინგენტის 360 სტუდენტით გაზრდის თაობაზე.

უნივერსიტეტი ახორციელებდა: ერთსაფეხურიან უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომირებული მედიკოსისა და ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების პროგრამებს.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული იყო საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც განსაზღვრული იყო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ერთსაფეხურიანი	დიპლომირებული მედიკოსი	დიპლომირებული მედიკოსი, 90101
დოქტორანტურა	ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში	მედიცინის ან ბიოლოგის დოქტორი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

დაწესებულების საერთო ფართი	
მისამართი	ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ. N2/6
საკადასტრო კოდი	ა) 01.13.02.009.013.23.501; ბ) 01.13.02.009.013.01.02.505; გ) 01.13.02.009.013.01.02.512; დ) 01.13.02.009.013.01.02.507.
მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საერთო ფართი	მიწის ნაკვეთი 0 კვ.მ და შენობა ნაგებობა 2431.29 კვ.მ
საკუთრების ფორმა და მოქმედების ვადა	კერძო საკუთრება. მესაკუთრე შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი“

ნ. ხინდრ

გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტს საკუთრებაში ჰქონდა, ქ. თბილისში ლუბლიანას ქუჩის №2/6 ში მდებარე შენობა - ნაგებობებში 2065.87 კვ.მ. ფართი. უნივერსიტეტმა აღნიშნულ მისამართზე დამატებით შეიძინა სარდაფის სართულზე 365.42 კვ.მ. ფართი, რის შემდეგაც საკუთრებაში არსებული შენობის საერთო ფართმა შეადგინა 2431.29 კვ.მ.

შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სარდაფის სართულზე მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხდება ამ ფართის გადაკეთება. ამჟამად მიმდინარეობდა სავენტილაციო სისტემის მოსაწყობად საჭირო სამუშაოები. გასაკეთებელია ტიხრები, იატაკები, სველი წერტილები და ა. შ. რის გამოც უნივერსიტეტი ამ ფართს (ჯამში 365.42 კვ.მ.) სასწავლო პროცესში არ იყენებს. დარჩენილი 2065.87 კვ.მ-დან სასწავლო პროცეშში გამოყენებული იყო 977.68 კვ.მ. რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: სასწავლო–სამეცნიერო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები შეადგენს 849.47 კვ.მ–ს, ლაბორატორიები – 0.0 კვ.მ–ს, აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახების ფართი 15.1 კვ.მ–ს, ხოლო ბიბლიოთეკა კი 113.11კვ.მ–ს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ფართში (ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №2/6 არ ჰქონდა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ლაბორატორიები. დაწესებულებას მემორანდუმები და ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სხვადასხვა კლინიკებთან. ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების სიმრავლის გამო შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ოთხი კლინიკა:

1. „სამედიცინო ცენტრი მედი ქლაბ ჯორჯია";
2. შპს „საოჯახო მედიცინის ქართულ-ამერიკული კლინიკა";
3. ს.ს. „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი";
4. ს.ს. „ჩემი ოჯახის კლინიკა".

კლინიკებში ვიზიტის შემდეგ გაირკვა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები „სამედიცინო ცენტრ მედი ქლაბ ჯორჯიაში" მიდიოდნენ მე-4 სემესტრიდან; ს.ს. „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრში" სასწავლო კურსს გადიან მე-7 სემესტრში 3 კვირის განმავლობაში, მე-10 სემესტრში 2 კვირის განმავლობაში, მე-12 სემესტრში კი ერთი კვირის განმავლობაში; შპს „საოჯახო მედიცინის ქართულ-ამერიკული კლინიკას" დაწესებულების მხოლოდ რეზიდენტი სტუდენტები სტუმრობენ, ხოლო ს.ს. „ჩემი ოჯახის კლინიკაში" ახალი სასწავლო წლიდან მივლენილი იქნებიან დოქტორანტები.

ვიზიტის დროს სასწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე შესყიდვის დოკუმენტაციის მიხედვით ირიცხება 101 ერთეული მერხი (მათ შორის 1-ადგილიანი 5 ცალი; 2-ადგილიანი - 49; 3-ადგილიანი - 3; 4-ადგილიანი - 36; 5-ადგილიანი 8 (საერთო ჯამში ადგილების რაოდენობა არის 396) და 387 სკამი. შესყიდვის დოკუმენტაციის მიხედვით დაწესებულების მფლობელობაში იყო 108 ერთეული კომპიუტერი. თუმცა რეალურად უნივერსიტეტში აღმოჩნდა: ერთადგილიანი მერხი-75 ცალი, მერხი ორადგილიანი-96 ცალი, მერხი სამადგილიანი-3 ცალი, მერხი ოთხადგილიანი-36 ცალი, ხუთ ადგილიანი მერხი-8 ცალი. რაც ჯამში შეადგენს 218 ცალ მერხს (საერთო ჯამში ადგილების რაოდენობა არის 560), 530 ცალი სკამი და 90 ერთეული კომპიუტერი.

შენობაში, რომელშიც სასწავლო პროცესს წარმართავს უნივერსიტეტი, ზემოთ აღნიშნული, რეალურად არსებული, ინვენტარი განლაგებული იყო შემდეგნაირად: მერხები თავისი სკამებით, დგას სასწავლო აუდიტორიებში; სკამი და მისი შესაბამისი მაგიდა, დგას პერსონალურ კომპიუტერებთან; სკამი და მაგიდა იდგა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მფლობელობაში იყო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (პროექტორები, პრინტერები, სკანერები, ასლის გადამღები აპარატები და სხვა).

დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლითაც განსაზღვრული ფუნქციები უზრუნველყოფდა მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები (შენობაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე გამათბობლები და კუსტარული წესით დამზადებული ელექტრო გამათბობლები).

უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებაზე ზრუნვისთვის ცალკე სამსახური არ იყო, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნავდა ექიმი, რომელსაც ჰქონდა სამედიცინო კაბინეტი. დაწესებულების შენობაში, ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას არ იყო გამოკრული ევაკუაციის გეგმა და არ იყო განთავსებული ცეცხლმაქრი. უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული იყო: „უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ და „ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“.

დაწესებულებაში არ დაფიქსირდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენებოდა საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

ბიბლიოთეკაში არსებობდა ბიბლიოთეკის კატალოგი, როგორც ქაღალდის მატარებელზე ასევე ელექტრონული ფორმით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, და რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკას ჰქონდა აუცილებელი ინვენტარითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული 5 კომპიუტერით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 3893 ერთეულ ინგლისურენოვან, 315 ერთეულ ქართულ და რუსულენოვან სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურას, გარდა ამისა სარეზერვო ფონდში ჰქონდა 437 ერთეული წიგნი. ბიბლიოთეკაში იყო ასევე 1651 ერთეული პერიოდიკა, 165 ვიდეო, 408 აუდიო და 94 ერთეული კომპაქტდისკებზე არსებული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის ფონდის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შესაბამისობის დადგენის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურასთან, შემთხვევითი შერჩევის მიზნით აღებული იქნა 23 სილაბუსი, მათში ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოების, გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკაში არ იყო რამდენიმე ერთეული სახელმძღვანელო.

დაწესებულებაში მიმდინარეობდა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, რისთვისაც არსებობს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები, ბრძანებებისა და ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნები, აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები, რექტორის საბჭოს ოქმები, სადისერტაციო საბჭოს ოქმები. თუმცა არაა ამ სამი უკანასკნელის რეგისტრაციის ჟურნალები. ოქმების რეგისტრაცია ხდება ნუმერაციისა და დათარიღების მიხედვით.

უნივერსიტეტის ვებგვერდი, www.dtmu.edu.ge ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. შემუშავებული იყო დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან.

უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო დაფინანსება სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოებისთვის.

6. ჩ[illegible]

უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის ხორციელდებოდა: ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომირებული მედიკოსისა და ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი განათლება, სამუშაო და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება კანონმდებლობითა და 2011 წლის 1 ოქტომბერს უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული „პერსონალის მიღება-დათხოვნის წესით" დაწესებულ კრიტერიუმებს. ისინი შერჩეული არიან საჯაროობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით გამოცხადებული აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსების მეშვეობით.

- პროფესორი - 14
- ასოცირებული პროფესორი - 40
- ასისტენტ-პროფესორი - 27

აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან, მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტებმა სასწავლო ფართს არ მიაკუთვნეს რექტორისა და დეკანის კაბინეტები, რაც რეალურად დაწესებულების მიერ გამოიყენება როგორც სასწავლო ფართი. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები სარდაფში, რაც ასევე მისემატებოდა სასწავლო ფართს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის სამმართველოს უფროსს, ლაშა მარგიშვილს, სასწავლო ფართის ოდენობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვაზე ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების სასწავლო ფართი იყო 977.68 კვ.მ რასაც ემატებოდა სარდაფის 365.42 კვ.მ. რის შემდეგაც, საკუთრებაში არსებული შენობის საერთო ფართმა შეადგინა 2431.29 კვ.მ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი არსებობდა უკვე 25 წლის განმავლობაში და რომ მათ ჰყავდათ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები. ამასთან ერთად, ლევან ტვილდიანმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი შეღავათიანი ფასებით ცდილობდა ხელი შეეწყო ქართველი სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ" ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტს

5. 6689

(საიდენტიფიკაციო კოდი: 211360203) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 21:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე